# საერთო გაზეთი

№35 (585) • 4 ნოემბერი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი


## სააკაშვილი და სააკაშვილის მონები
## ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ





რასაც დღეს „ნაცმოძრაობა“ და მისი მოკავშირე პარტიები აკეთებენ, ეს არის სახელმწიფოს მიტაცებისა და ძალაუფლების ძალადობრივი გზით ხელში აღების მცდელობა

## მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებას!

**იმოქმედეთ ისე, როგორც კანონი ასეთ შემთხვევებში გავალდებულებთ**




ხელახალი არჩევნების დროს, ოპოზიცია იმ ხმების ნახევარსაც კი ვერ მიიღებს, რაც ახლა მიიღო...



### ეშმაკის ნაბიჭვრები

### უდელი მოურავი



### ბუბა პაპას ვნებანი





31 ოქტომბერს ნაციონალები თვითონ აყალბებდნენ მონაცემებს

### დონალდ ტრამპი:
კატორღელივით ვმუშაობ, რომ გავიმარჯვო!



## „ქართულო ოცნებავ“, დაიცავი ჩვენი ხმები, თუ არადა ჩვენ თვითონ მივხედავთ ამ არამზადებს!

# სააკაშვილი და სააკაშვილის მონები ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ



**ვულოცავთ ქართველ ხალხს „ქართული ოცნების“ გამარჯვებას!**

**ბიძინა ივანიშვილმა და ქართველმა ხალხმა, მისმა ჯანსაღმა და მოაზროვნე ნაწილმა, კიდევ ერთხელ იხსნეს საქართველო კრიმინალების, მკვლელების, მოძალადეების, მოღალატეების და ქვეყნის გამყიდველების მორიგი შემოსევისგან.**

**2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება, თავისი მნიშვნელობით, 2012 წლის გამარჯვების ტოლფასია.**

**უფრო ზუსტად, 2020 წლის გამარჯვება 2012 წლის გამარჯვების გაგრძელებაა, რომელსაც, თავის მხრივ, კიდევ სხვა გაგრძელებები უნდა მოჰყვეს და მანამდე უნდა გაგრძელდეს, სანამ „ნაცმოძრაობა“ ბოლომდე არ დამარცხდება.**

**„ნაცმოძრაობა“, სააკაშვილი და სააკაშვილის მონები ბიძინა ივანიშვილს ემუქრებიან. ბიძინა ივანიშვილს კი არა, სინამდვილეში, ჩვენ, ქართველებს „გვეკაჩავებიან“ ეს არამზადები და თავიანთი ჭკუით გვაშინებენ და გვაშანტაჟებენ — პარლამენტში არ შევალთო, არ შეხვალთ და ნუ შეხვალთ, თქვენი დედაც...**

არჩევნები დამთავრდა ისე, როგორც უნდა დამთავრებულიყო — „ქართული ოცნების“ გამარჯვებით და „ნაციონალების“ დამარცხებით.

სულ ტყუილი აღმოჩნდა „ნაცების“ ბელადის ქადილი — მთელი საქართველო ჩვენ გვიჭერს მხარს და 31 ოქტომბერს „ქართულ ოცნებას“ დავასრულებთო.

„ქართული ოცნების“ დასრულება არ გამოვიდა, სამაგიეროდ, სააკაშვილი, როგორც პოლიტიკოსი, სამუდამოდ დასრულდა.

სააკაშვილი, არა მარტო საქართველოს არამედ XX1 საუკუნის დემოკრატიული მსოფლიოს სირცხვილი და თავსლაფისდასხმა, ჰიტლერის უბადრუკი კლონი, დ-ა-ს-რ-უ-ლ-დ-ა!

**2020 წლის არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქართველი ხალხი არასოდეს არ დააბრუნებს სააკაშვილს და „ნაცმოძრაობას“ ხელისუფლებაში.**

განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება!

სულ ტყუილად ჰგონიათ „ნაციონალებს“, ბიძინა ივანიშვილს თუ მოვიშორებთ, მერე იოლად და დაუბრკოლებლად დავიბრუნებთ ძალაუფლებასო.

ბიძინა ივანიშვილმა კი არა ქართველმა ხალხმა გითხრათ თქვენ მტკიცე უარი ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ საპარლამენტო არჩევნებში, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, თქვენ კიდევ რეალობისთვის თვალის გასწორება და ბედთან შეგუება არ შეგიძლიათ.

არაფერი არ გიშველით თქვენ, „ნაციონალებო“, გინდა სამად გაიყავით, გინდ — ხუთად, გინდ — ათად, გინდ სხვადასხვა სახელები დაირქვით, გინდ პასპორტი გადაიკეთეთ, გინდ — პლასტიკური ოპერაცია გაიკეთეთ. ქართველი ხალხი მაინც არ მიგიღებთ და მაინც არ გაპატიებთ იმ უდიდეს ტკივილს და შეურაცხყოფას, რაც თქვენ მიაყენეთ.

— ქართველ ხალხს არჩევნები მოპარეს!

— ქართველ ხალხს არჩევნები წაართვეს! — წიოკობენ ნაციონალები.

**რომელ ქართველ ხალხზე ლაპარაკობთ თქვენ, თქვე ფარისევლებო და დემაგოგებო, იმ ერთ მილიონ ქართველ ხალხს ხალხად არ თვლით, რომელმაც ხმა არ მოგცათ?**

სიმართლეს თვალს თუ გავუსწორებთ, სწორედ ის ერთი მილიონი ქართველი ხალხია ნამდვილი ქართველი ხალხი და არა განსჯის უნარდაკარგული ის მასა, რომელიც დღემდე მიშა, მიშას გაიძახის და ვერც კი აცნობიერებს, რა ცოდვის კალო დატრიალდება საქართველოში, ხელისუფლებაში კვლავ ის ფაშისტურ-კრიმინალური ძალა რომ მოვიდეს, რომელმაც ამდენი უბედურება მოუტანა ქვეყანას.

„ნაცმოძრაობის“ რადიკალური მოწინააღმდეგეების რიცხვი მხოლოდ ერთი მილიონით არ ამოიწურება. ამ ერთ მილიონს შეიძლება დავამატოთ კიდევ ერთი მილიონი, რომელიც არჩევნებზე არ მივიდა.

ეს ის ელექტორატია, რომელიც რაღაცით განაწყენებულია „ქართულ ოცნებაზე“, მაგრამ მისთვის კატეგორიულად მიუღებელია „ნაცმოძრაობა“, როგორც „ქართული ოცნების“ ალტერნატივა.

კრიზისული სიტუაცია რომ შეიქმნას და „ნაცმოძრაობას“ და „ქართულ ოცნებას“ შორის არჩევანის გაკეთებამ რომ მოუწიოს, ეს ერთი მილიონი უყოყმანოდ გაილაშქრებს „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ.

ასე რომ, გაუგებარია, რომელ ქართველ ხალხს მოუწოდებთ თქვენ, ნაცებო და რომელი ქართველი ხალხის სახელით ეწევით უტიფარ სპეკულაციას?

**— გაგვაგონეთ თქვენი ხმა, ქართველებოო! — რომ გაჰყვირით, იმდენს ნუ იზამთ, მართლა გაგაგებინოთ ქართველმა ხალხმა თავისი ხმა და ამ ხმას ერთი ისეთი მამა-პაპური ჭიტლაყიც მოაყოლოს, რომ თქვენგან არაფერი არ დარჩეს.**

თუ ჭკუას არ მოეგებით, თუ არ დაოკდებით, ჟარგონის ენაზე რომ ვთქვათ, ამ ჭიტლაყს გაუჩალიჩებთ თქვენ საკუთარ თავს და მერე ნაწყენი ნუ დარჩებით...

●

ბევრი ივაგლახეს, ბევრი იგლახავეს, ბევრი მტვერი და ნაცარი დააყენეს „ნაცმოძრაობის“ განაყოფებმა, ბევრი იძახეს დამოუკიდებელი პარტიები ვართო, ბოლოს კი იმით დაამთავრეს, რომ, არც მეტი, არც ნაკლები, თვითონვე დაადასტურეს, რომ სააკაშვილის ყურმოჭრილი მონები არიან!



სხვებს ეძახდნენ მონებს და დამტკიცდა, რომ თვითონ არიან სააკაშვილის ყმები და მონები!

სააკაშვილი უბრძანებს, „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციაში არ შეხვიდეთო და ესენიც გაიქცევიან მიშას „მმაჩის ბიუროში“ და „ნაცმოძრაობის“ „როენა მამიდასთან“ — ნიკუტა გვარამიასთან, რომელიც პოლიტიკური დაქორწინება-განქორწინების საკითხებს აკვარახჭინებს, ერთგულების ფიცს აწერენ ხელს, რომ „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციაში არ შევლენ.

სააკაშვილი უბრძანებს, პარლამენტში არ შეხვიდეთო და ესენიც ცუგებივით კუდის ქიცინით მოწკავწკავდებიან და ზარ-ზეიმით აწერენ ხელს „დოკუმენტს“, რომ პარლამენტში ფეხს არ შეადგამენ!

სააკაშვილმა რომ უთხრას: კლდიდან გადახტითო, გადახტებიან! თქვენი გადანაფურთხი ალოკეთო — ალოკავენ!

**ეს ბოკერიები და უგულავები, ეს ბაქრაძეები და ოქრუაშვილები, ეს ჯუნიორა ვაშაძეები და „გირჩები“ თავს ვერასოდეს დააღწევენ მიშას მონობას, რადგან წინდახედულ მიშას იმდე-**











„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



**ნი კომპრომატი აქვს თითეულ მათგანზე, ათ კაცს ეყოფა დასაჭერად და გასაფუჭებლად.**

კიევიდან მიღებული ბრძანების თანახმად, მიშას მონები ამბოხებას აპირებენ.

— ცესკოს შემადგენლობა უნდა გამოიცვალოს და ახალი არჩევნები უნდა დაინიშნოს! — მოითხოვენ „ნაციონალები“.

ახალი არჩევნები კი არა, ის უნდა გაკეთდეს, რაც ამ რვა წლის განმავლობაში არ გაკეთდა და რის გამოც არიან დიდ გულზე ეს კრიმინალები — მათი დანაშაულების მამხილებელი ყველა სისხლის სამართლის საქმე ერთად უნდა შეიკრას და სასწრაფოდ უნდა გაიმართოს ქართული ნიურნბერგის პროცესი!

დამნაშავეების ადგილი პარლამენტში კი არა ციხეშია!

დამნაშავეებს რომ ვამბობ, დამნაშავეებში მარტო „ნაციონალებს“ და მათ განაყოფებს არ ვგულისხმობ.

თავისი წილი მძიმე დანაშაულები აქვთ ჩადენილი სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის ლიდერებს — მამუკა ხაზარაძეს, ნინო ბურჯანაძეს, „ჯუნიორ“ ვაშაძეს, ზურაბ („გირჩი“) ჯაფარიძეს, თვით „პატიოსან“ ალეკო ელისაშვილსაც...

რაც შეეხება შალვა ნათელაშვილს, მისი ადგილი ციხეში არ არის — მისი ადგილი საგიჟეთშია!

რა გამოდის? **პარლამენტარებს ვირჩევთ თუ პარლამენტში დამნაშავეებს ვუშვებთ ოთხწლიან „სროკზე“?**

— ეგენი რომ არ შევიდნენ პარლამენტში, დავიღუპებით... ოპოზიციის გარეშე ლეგიტიმაციის საკითხი ეჭვქვეშ დადგება... ოპოზიციის გარეშე დემოკრატია ვის გაუგონია? — ვიშვიშებენ ვიღაცვიღაცები და „ქართულ ოცნებას“ ოპოზიციასთან მოლაპარაკება-მორიგებისკენ მოუწოდებენ.

არ არიან ესენი ოპოზიციონერები! ესენი ჩვეულებრივი მოძალადეები არიან, რომლებიც 20 წელია ქართველ ხალხს ძველბიჭურად „ექაჩებიან“ და იმის „დათრევას“ ცდილობენ, რაც მათ არ ეკუთვნით.

ეს უმსგავსობა სადღაც უნდა დამთავრდეს!

ამიტომ: **არავითარი დათმობა მოძალადეებს!**

**არავითარი კომპრომისი შფოთის ამტეხი პროვოკატორების წინაშე!**

**არც ერთი ნაბიჯი უკან! ჩვენს უკან საქართველოა, რომლის წართმევას და დაპატრონებას ცდილობენ ეს კრიმინალები, მკვლელები და ქვეყნის გამყიდველები!**

ახლა კი იმ 26 პროცენტს მინდა შევეხმიანო, რომელმაც „ნაცმოძრაობას“ მისცა ხმა.

ახალს ვერაფერს ვიტყვი, ამიტომ ჩემი წერილიდან ერთ ფრაგმენტს შემოგთავაზებთ, სადაც, ჩემი აზრით, ყველაფერია ნათქვამია: („ს.გ.“ №34).

●

ბევჯერ მითქვამს და კიდევ ბევრჯერ გავიმეორებ: როცა მკვლელების, მოძალადეების, გამყიდველების, მოღალატეების, ყაჩაღების, ადამიანთა მწამებლების პარტიას აძლევ ხმას, თვითონაც პოტენციური მკვლელი ხარ, თვითონაც მოძალადე, გამყიდველი და ყაჩაღი ხარ და როცა ასეთი ადამიანების რაოდენობა მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, ასეთ ქვეყანაში და ასეთ საზოგადოებაში ცხოვრება შეურაცხმყოფელია, მიუღებელია, დამამცირებელია.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საზოგადოება, რომელსაც პარანოიისა და ფსიქოპათიის ნიშნები ეტყობა, სახიფათო და საშიში საზოგადოებაა.

ასეთ საზოგადოებას არაფრის შექმნა და აშენება არ შეუძლია, ის მხოლოდ ანგრევს და ანადგურებს, თუმცა, ჰგონია, რომ აშენებს.

შეიძლება, არაინფორმირებულობის გამო რაღაც შეგეშალოს, შეიძლება, ზედმეტად ენდო ვიღაცას და არჩევანში შეცდომა დაუშვა, მაგრამ, როცა ყველაფერი იცი, როცა ყველაფერი ცნობილია, როცა სახეზეა უამრავი შემზარავი დანაშაული და ხმას მაინც ამ დანაშაულებების ჩამდენებს აძლევ, ამას რა გამართლება ან რა ახსნა შეიძლება ჰქონდეს?

და როცა ამას აკეთებს არა ერთი და ორი, არამედ 400 000–500 000 ადამიანი, არ შეიძლება ამ ციფრმა არ შეგაკრთოს და არ დაგაფიქროს იმ ქვეყნის ბედზე და მის მომავალზე, სადაც ყოველი ოთხი კაციდან ერთი მაინც მოქალაქედ არ ვარგა.

სააკაშვილმა არ მარტო უდიდესი მატერიალური ზიანი მიაყენა ქვეყანას, არამედ სულიერადაც სცადა მისი გატეხვა და დაბეჩავება. სწორედ ამით აიხსნება პატიმრებით გადატენილი ციხეები, სასამართლოს წნეხქვეშ გატარებული 300 000 პრობაციონერი, ადამიანების დემონსტრაციული, საჩვენებელი დახვრეტები ქუჩებში, პატიმრების წამება, ზღვარგადასული სისასტიკე და ხაზგასმული სადიზმი.

ვინც ამის ჩამდენ კაცს ხმას აძლევს, ის მასზე უარესია და როცა ქვეყანას 500 000-მდე სააკაშვილზე უარესი ჰყავს, იმ ქვეყანას რა უნდა ეშველოს“?!

„ნაცმოძრაობა“, სააკაშვილი და სააკაშვილის მონები ბიძინა ივანიშვილს ემუქრებიან.

ბიძინა ივანიშვილს კი არა, სინამდვილეში, ჩვენ, ქართველებს „გვეკაჩავებიან“ ეს არამზადები და თავიანთი ჭკუით გვაშინებენ და გვაშანტაჟებენ — პარლამენტში არ შევალთო...

არ შეხვალთ და ნუ შეხვალთ, თქვენი დედაც...

# ეშმაკის ნაბიჭვრები



31 ოქტომბერს, რვა საათის დასრულებისთანავე, გვარამიას კანტორაში შეკოწიწებული ყალბი ეგზიტპოლის გამოცხადებას „ნაცმოძრაობისა“ და მისი მხარდამჭერების მხრიდან ენით აღუწერელი ღრიანცელი და ყიჟინა მოჰყვა — ჩვენ გავიმარჯვეთო.

2008 წლის აგვისტოს სამარცხვინოდ წაგებული ომის შემდეგ „ნაცმოძრაობის“ და მისი ბელადის მიერ თავისუფლების მოედანზე ორგანიზებული „გამარჯვების ზეიმი“ გამახსენა 31 ოქტომბრის ამბებმა.

იმ დროს, როცა ქართველი ჯარისკაცების ცხედრები უპატრონოდ ეყარა ბრძოლის ველზე, იმ დროს, როცა რუსების ჯარი თბილისიდან ერთი ხელის გაწვდენაზე იდგა, „ნაციონალები“ „გამარჯვებას“ ზეიმობდნენ.

უფრო საშინელი, უფრო შემზარავი და ცინიკური სპექტაკლი ვარდებით რომ შეიჭრა პარლამენტში.

სად ჯავშანჟილეტი, სად პისტოლეტი და სად ვარდი — ეს სამი ერთმანეთთან აბსოლუტურად შეუთავსებელი ატრიბუტი რაღაც ცუდის მომასწავებელ ნიშანზე მიგვითითებდა, თუმცა მაშინ ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

მაშიც ძალიან ჰგავს სატანისტურ რიტუალს, რომელსაც ბედნიერებისგან სახეგაბრწყინებული სააკაშვილი, ამ რიტუალის მთავარი რეჟისორი, ქორეოგრაფი და კონცერტმაისტერი, დიდი კმაყოფილებით და ზეემოციური ეიფორიით უძღვება.

ნამდვილად სატანისტები არიან ესენი, „ნაცმოძრაობა“ ნამდვილად











საქართველოს კი არა, ალბათ, ცივილიზებულ მსოფლიოს საერთოდ არ ახსოვს.

ხანდახან ვფიქრობ, პოლიტიკური ორგანიზაცია კი არა ლუციფერის მიერ გაწვრთნილი სატანისტების სექტა ხომ არ არის ეს „ნაცმოძრაობა“?

ეს ფიქრი ჯერ კიდევ 2003 წლის შემოდგომაზე ამეკვიატა, როცა ე.წ. ვარდების რევოლუციის დროს იმ რიტუალებს ვაკვირდებოდი, რომლებსაც ამ რიტუალების დამდგმელი ხელმძღვანელები „რევოლუციის“ მონაწილეებს ასრულებინებდნენ.

გახსოვთ, როგორ უვლიდნენ ანთებული ჩირაღდნებით და წითელი ვარდებით ხელში პარლამენტის შენობას გარშემო?

რაღაც ირეალური, არაამქვეყნიური წარმოდგენა იყო, შიშისმომგვრელი, აპოკალიფსური წარმოდგენა, რომელიც მიწის ზემოთ კი არა სადღაც ქვემოთ, ქვესკნელში იმართებოდა თითქოს.

იყო რაღაც აპოკალიფსური იმაშიც, ეს ქვესკნელიდან ამოშავებული მრისხანე ძალა ჯავშანჟილეტით, წელზე პისტოლეტით და ხელში

არ მინდა ვინმეს პიროვნული შეურაცხყოფა მივაყენო ფიზიკური ნაკლისა თუ იმის გამო, რომ სახის ნაკვთები წესიერად არ აქვს დალაგებული, თუმცა, ზოგადად, ერთ რამეს მაინც ვიტყვი: ეშმაკი ზოგჯერ, ისეთ დაღს და დამღას ასვამს ადამიანს, შეხედავ: გამოხოხებული ეშმაკია — ეშმაკის ნაბიჭვარია!

●

ის, რასაც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მთელი რვა წლის განმავლობაში აკეთებდნენ ნაციონალები, გეგონება, ერთი უწყვეტი სატანისტური რიტუალია ადამიანთა მსხვერპლშეწირვებით, ადამიანების სადისტური წამებებით, მკვლელობებით, შანტაჟით, ტერორით, ფსიქოლოგიური ზეწოლით, სექსუალური აღვირახსნილობით, გარყვნილებით, ულმერთობით.

ისეთი გამაოგნებელი დანაშაულები აქვთ ჩადენილი ნაციონალებს, თითქოს სულსა და სხეულში ეშმაკები ჰყავდეთ ჩასახლებული და ისინი აიძულებდნენ ეს არაადამიანური საქციელები ჩაედინათ.

2008 წლის აგვისტოს წაგებული ომის შემდეგ გამართული ცეკვა-თა-

სატანისტური სექტაა, სხვა ახსნა მათ საქციელს და მათ საქმიანობას არ აქვს.

და თუ ეს ასეა, რა უნდათ სატანისტებს პოლიტიკაში, რა ესაქმებათ სატანისტებს პარლამენტში?

ჯვარი აქაურობას და არული კუდიანებს!

**ვახტანგ ხარჩილავა**



# ხელახალი არჩევნები რომ ჩატარდეს, ოპოზიცია იმ ხმების ნახევარსაც კი ვერ მიიღებს, რაც ახლა მიიღო...



*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, 31 ოქტომბერს ოპოზიცია შუადღეზე, უკვე, აცხადებდა, რომ გაიმარჯვა. ალბათ, წინასწარ იმიტომ გამოაცხადეს თავიანთი გამარჯვების შესახებ, რომ მეორე დღეს ხალხისთვის ეთქვათ: აი, არჩევნები გაგვიყალბესო. რას ფიქრობთ, არჩევნების მოდელირებულ გამარჯვებას ამზადებენ?**

— რა გითხრათ, როცა ხალხი ასეთია, შედეგსაც ასეთს იღებ. გეთანხმებით, არსებითად. მით უმეტეს, რომ სააკაშვილმაც რუსულ მედიაში ინტერვიუს დროს აღნიშნა: ჩვენ, მოვიგეთო. ასე, რომ იდეა იმის შესახებ რომ მოიგეს, სათავეს სააკაშვილიდან იღებს.



ალბათ, ჩანაფიქრი არის ის, რომ ისეთი კლიმატი შექმნან, რომლის ფონზედაც მათი მოგება მხარდამჭერების თვალში დამაჯერებელი იქნება, ყველაფერ სხვა დანარჩენს უნდობლობას გამოუცხადებენ.

**— როგორ ფიქრობთ, არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა?**

— მე, რა უნდა გითხრათ, ეს, უკვე, ნათლად თქვეს საერთაშორისო დამკვირვებლებმა, აშშ-ს ელჩმა და ეუთო-ოდირმა. მათი თქმით: რაღაც ხარვეზები იყო, მაგრამ მთავარი რისთვისაც არჩევნები ტარდება — არჩევანის თავისუფლება შეზღუდული არ ყოფილა. საერთაშორისო დამკვირვებლებს იმის თაობაზე უნდა იქნას თუ არა აღიარებული ეს არჩევნები, კითხვის ნიშანი არ დაუსვამთ.

**— უნდა ტარდებოდეს თუ არა არჩევნების დღეს მოსახლეობის გამოკითხვა. სხვათა შორის, ეგზიტპოლები ბევრ განვითარებულ ქვეყანაში აკრძალულია.**

— ეგზიტპოლებიც სოციოლოგიაა, ხომ. თუ ეგზიტპოლების მონაცემებით მავანი აცხადებს, რომ გაიმარჯვა, მაშინ რაღად გვინდა არჩევნები, პირდაპირ სოციოლოგიური კვლევებით იხელმძღვანელონ?! დასავლეთში ასეთი იდეაც ჰქონდათ: აღარ გვინდა საპარლამენტო არჩევნები, სოციოლოგიური კვლევებით ვნახოთ: რა უნდა ხალხს, რა ცვლილებებს ითხოვენ და ა.შ. მაგრამ ეს არ გამოვიდა იმიტომ, რომ სოციოლოგია ადვილად გასამრუდებელი რამ არის. როგორც ჩანს, გამომდინარე იქედან, რომ ეგზიტპოლი ნებისმიერი ზემოქმედების მიმართ ასეთი მგრძნობიარეა, მთელ ქვეყანას მის ჩატარებაზე უარი ათქმევინა. როგორც აღვნიშნე, გამრუდების ალბათობა მაღალია. ამ დროს ეგზიტპოლების მონაცემებზე ადამიანებს ცრუ მოლოდინები უჩნდებათ, რის საფუძველზეც მერე რევოლუციები ხდება.

**— რაზე მიუთითებს ის, რომ სხვადასხვა ტელეკომპანიების დაკვეთით ჩატარებული ეგზიტპოლების შედეგები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებოდა?**

— რა თქმა უნდა, ერთი ვარიანტი არის ასეთი: რბილად რომ ვთქვათ, ადგილი აქვს ერთგვარ ეშმაკობებს და მეორე ვარიანტია: ვინ, როგორ უყურებს სოციოლოგიური კვლევის სტანდარტებს, ვინ როგორ აკეთებს, რა ელემენტები შეაქვს კვლევაში და ა.შ. ამიტომ, პროცენტულად მცირე სხვაობის დროს, შეიძლება, შედეგში დიდი განსხვავება მივიღოთ.

**— მახსოვს, ადრე მითხარით: 1%-იანი პარტიები კოალიციას ვერ შექმნიანო, რას გულისხმობდით?**

— რომ არანაირი მექანიზმი იმისა, რომ მცირე პროცენტით მოსულმა პარტიებმა მთავრობის ჩამოყალიბებაზე გავლენა იქონიონ, არ არსებობს. ვინც თავის დროზე დემოკრატიის სისტემას აყალიბებდა, მის წინაშე შემდეგი ამოცანა იდგა, რაც ასე გადაწყდა: მთავრობა იმ პარტიებმა უნდა ჩამოაყალიბონ, ვისაც ხალხი მხარს უჭერს, რაც სავსებით ლოგიკურია. ახლა, რაც არ უნდა იძახოს გვარამიამ: ვინც უმცირესობაშია, ანუ 1%-იანმა პარტიებმა უნდა ჩამოაყალიბონ მთავრობაო, არაფერი გამოუვათ. მათი ლოგიკით რა გამოდის: ვისაც ხალხი მხარს არ უჭერს და 1%-იან ნდობას უცხადებს, ისინი თუ ჩამოაყალიბებენ მთავრობას, ეს იქნება დემოკრატია? რბილად რომ ვთქვათ, ეს ღიმილის მომგვრელია.

**— ანუ, 1%-იან პარტიებს კოალიციური მთავრობის შექმნის შანსი არ აქვთ, ხომ?**

— დიახ, ისინი კოალიციურ მთავრობას ვერ შექმნიან იმიტომ, რომ ესეც დემოკრატიული სტანდარტით არის გათვალისწინებული. კოალიციური მთავრობის აუცილებლობა მაშინ დგას, როცა ვერცერთი პარტია საჭირო ხმებს ვერ აგროვებს, რაც მას მთავრობის დაკომპლექტების საშუალებას მისცემდა. კოალიციის შექმნის უფლება აქვს იმ პარტიას, რომელმაც ბევრი ხმები დააგროვა. პარტიას რომელმაც მცირე რაოდენობის ხმები დააგროვა, კოალიციის შექმნის უფლება თუ მიეცა, დემოკრატია გვერდზე დაგვრჩება. ანუ, კოალიციის შექმნის პირობებშიდაც საკითხი უმრავლესობის პრიორიტეტით წყდება და არა იმით ვის უფრო მეტი ენერგია აქვს. ჩვენთან, ცდილობენ მიზანს ენერგიული ბრძოლით მიაღწიონ. რა თქმა უნდა, დგას შემდეგი საკითხიც — არის თუ არა ხმების დათვლა სამართლიანი. მაგრამ რაღაც ეტაპზე თუ მთელი საზოგადოება, პოლიტიკური სპექტრი არ შეთანხმდა ვის ენდოს, ყოველთვის გამოჩნდება ვიღაც, ვინც უკმაყოფილო იქნება და რა გამოდის პრობლემა ყოველთვის ასე, ქუჩაში უნდა გადაწყდეს, როგორც ახლა ხდება? ერთ-ერთი მთავარი თემა, რაც მნიშვნელოვანია ეს არის სასამართლო სისტემისადმი ნდობა იმიტომ, რომ მის გადაწყვეტილებას მხარეები უნდა დასთანხმდნენ. თუ სასამართლოს მიმართ ასეთი ნდობა არ იქნა და ყველამ გამოაცხადა, რომ ეს თუ ის მოსამართლე კორუმპირებულია, მტყუანია, ასე ვერაფერს მივარწევთ. ნებისმიერი დამნაშავე იტყვის, რომ ტყუილად დასაჯეს და სასამართლო სისტემას ბრძოლას გამოუცხადებს. ამისთვის არსებობს სააპელაციო სასამართლო. ანალოგიურად, ამიტომაც არის სასამართლო და ის დამკვირვებლებიც არჩევნებში ჩართული, რომლებმაც უნდა თქვან: დაირღვა თუ არა კანონი. საერთაშორისო დამკვირვებლებმა კი უკვე თქვეს, რომ კანონი არ დარღვეულა. ახლა, ვნახოთ რამდენი საჩივარი დაიწერება. თუ აღმოჩნდა, რომ საჩივრებში დამაჯერებელი ბრალდებებია, მერე, უკვე, შეიძლება დადგეს საკითხი: გაუქმდეს თუ არა არჩევნების შედეგები. მაგრამ, ასე, ქუჩის დონეზე არჩევნების გაუქმების მოთხოვნა არცერთ წეს-კანონში არ ჯდება. იგივე, გვითხრა ამერიკის ელჩმა ტერი დეგნანმაც — დააცადეთ კომისიას მუშაობა და მერე, მის გადაწყვეტილებას დაეთანხმეთო.

**— ცესკ-ოს მონაცემებით „ქართულ ოცნებას“ 48% აქვს, „ნაციონალებს კი — 27%. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მმართველმა ძალამ ეს არჩევნები დამაჯერებლად მოიგო?**

— დიახ, რა თქმა უნდა, ასეა თუ რამე ექსტრაორდინალური არ მოხდა. ოპოზიციამ მიტინგების, კარვების გაშლა დაიწყო. უბრალოდ, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ამ პროცესებმა ყველაფერი გადაკეტა, სახელმწიფოში კრიზისი გამოიწვია და ამის ფონზე ხელისუფლებამ არჩევნების გაუქმება გადაწყვიტა. კი ბატონო, თუნდაც გაუქმდეს არჩევნები და ხელმეორედ ჩატარდეს, ამით რას მოიგებს ოპოზიცია? თუ ხელმეორე არჩევნები ჩატარდა, განა ისეთი იქნება, როგორიც ყველას დააკმაყოფილებს? თუ ისევ გაჩნდება ბუნებრივი პრეტენზია იმისა, რომ ვიღაცებმა არ მიიღეს ხმების ის რაოდენობა, რაც უნდა მიეღოთ.

**— ასე ხომ ქვეყანა ჩიხში შევა?**

— დიახ, ასეთი ჩიხის დროს არჩევნებს თავიდან ნიშნავენ. მაგრამ ოპოზიცია ვერ ითვალისწინებს შედეგს: ხელახალი არჩევნების შემთხვევაში ის მოხდება, რაც საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ვიხილეთ. გეტყვით, რას ვგულისხმობ. ძალიან ბევრმა ამომრჩეველმა, რომელსაც მრავალპარტიულობა მოსწონს, ამ მიზეზით ხმები უპერსპექტივო პარტიებს მისცა. ამ ნაბიჯით, ფაქტობრივად, საკუთარი ხმა დაკარგა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, ეს ხმა, ირიბად, „ნაცმოძრაობამ“ მიიღო. მეორე ტურში ადამიანები, უკვე, კარგად დაფიქრდებიან: კარგავენ ხმებს თუ არა და შედეგად ისე ქარაფშუტულად აღარ მოექცევიან თავიანთ ხმებს, როგორც ეს საპრეზიდენტო არჩევნებისას მოხდა.

მავანი რატომ არის დარწმუნებული, რომ ეს ადამიანები ისევ ოპოზიციას მისცემენ ხმას? ხომ ფაქტია, ოპოზიცია რისკის ქვეშ არის. მათ შეიძლება, საერთოდ, ვერცერთი ხმა ვეღარ მიიღონ. მით უმეტეს, ამ შემთხვევაში, სადავო გახდება, რა სისტემით უნდა ჩატარდეს არჩევნები. ახლა, გამონაკლისის სახით ჩატარდა არჩევნები უბარიერო სისტემით. თუ ბარიერმა აიწია და ნულოვანი აღარ იქნა, მაშინ საერთოდ გამორიცხულია ამ პარტიებმა ხმები მიიღონ. განა წავლენ ამ რისკზე ეს 1%-იანი პარტიები? ოპოზიციის დიდმა უმეტესობამ ხომ წესით მადლობა უნდა თქვას, რომ ხმების 3% მიიღეს. მაგალითად, ეს ეხება იგივე, ერთ წელიწადში მომწიფებულ პარტია „ლელოს“. ოპოზიციური პარტიების უმეტესობა, ვთქვათ, 5% ბარიერის დაწესების შემთხვევაში, ხელახალ არჩევნებზე ქუჩაში აღმოჩნდება. მაგრამ, ამავდროულად, „ლელო“ მაინც აცხადებს: ბოიკოტის რეჟიმში უნდა გადავიდეთ, ამ შედეგებს არ ვიზიარებთ.





— მმართველი ძალა წავა ახალ არჩევნებზე?

— არა, მე, ახლა თეორიულად ვმსჯელობ, თორემ მმართველი ძალა ხელახალი არჩევნების ჩატარებაზე არ წავა და არც უნდა წავიდეს იმიტომ, რომ ეს თამაში ხომ არ არის, საქმე ქვეყნის ბედს ეხება და მისთვის ეს ძალიან მძიმე დარტყმა იქნება.

**— ბატონო რამაზ, მთავრობის ფორმირება რამდენად რთული იქნება მაშინ, როცა ვიცით რისთვის ემზადება „ნაცმოძრაობა“?**

— არ მგონია, რასაც დღეს „ნაცმოძრაობა“ და სრულიად ოპოზიციური სპექტრი აკეთებს, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს იმიტომ, რომ თუ ხელისუფლებამ შექმნა საპარლამენტო უმრავლესობა, იგი მთავრობის ფორმირებას და კანონების მიღებას ოპოზიციის გარეშე მოახერხებს. ოპოზიციის ხმაური, რაც ახლა სახეზეა, არავითარ პოლიტიკურ შედეგებს არ მოიტანს ანუ, მთავრობის ან პარლამენტის ცვლილებაზე გავლენის მქონე არ იქნება.

**— სამადაშვილმა ხალხს მოუწოდა: როგორც გავრილოვის პარლამენტის თავმჯდომარის სკამში ჩაჯდომაზე გქონდათ სწორი რეაქცია, ახლაც ასე მოიქეცითო. ერთ-ერთმა ექსპერტმა ჩემთან საუბრისას აღნიშნა: „ვარდების რევოლუციის“ სცენარის გამეორებას ველოდებიო. თქვენ, რას იტყვით?**

— რა თქმა უნდა, ამისთვის მზადება აშკარაა. თუმცა, ამას „ვარდების რევოლუციის“ სცენარი რომ დავარქვათ, ეს მათთვის დიდი პატივი გახლავთ. ეს გაცილებით ადრე — ცნობილი ამერიკელი პოლიტ.ტექნოლოგის მიერ „ვარდების რევოლუციამდე“ შექმნილი სცენარია. სწორედ, ამ სცენარით მოხდა ბევრი რევოლუციები, მათ შორის, ჩვენიც, ასევე, ხავერდოვანი რევოლუცია არაბეთის ქვეყნებში და ა.შ. ამის ერთ-ერთი რგოლი „ვარდების რევოლუცია“ იყო.

**— „ნაცებმა“ 27% აიღეს, ანუ, დაახლოებით, ნახევარი მილიონი მოსახლეობის ხმა. ეს ქართველი**



**საზოგადოების სირცხვილი არ არის, რომ მკვლელების პარტიას ხმას აძლევენ?**

— ასე ნუ შევარცხვენთ ამ საწყალ ქართველებს. სოციალურ ქსელში, სადაც „ნაციონალების“ მიერ მიღებულმა 27%-მა დიდი აღშფოთება გამოიწვია, ერთმა ადამიანმა შემდეგი კითხვა დასვა: ნიურნბერგის პროცესი რომ არ ყოფილიყო, როგორ გგონიათ, ფაშისტების პარტია რამდენ ხმას აიღებდა დღეს რომ არჩევნები გამართულიყოო? აი, ამაშია საქმე. გერმანიაშიც ზუსტად იგივე სიტუაცია იქნებოდა სასამართლო პროცესი რომ არ ჩატარებულიყო. დიახ, მაშინ სასამართლო რომ არ ჩაეტარებინათ, ახლა მოგვიწევდა შემდეგი რამის თქმა: გერმანელი ერის სირცხვილია ნაცისტებისთვის მხარის დაჭერაო. ფაქტია, რომ მათ მხარს დაუჭერდნენ. პარტია აკრძალულია და მაინც ახლა, მისი დამცველები ქუჩაში გამოდიან. ეს პარტია აკრძალული რომ არ იყოს, მისი მომხრეები პოლიტიკურ მხარდაჭერას უკვე საარჩევნო ყუთებთან გამოხატავდნენ. ასე, რომ მარტო ჩვენ არ ვართ ასეთი გულმავიწყები. არც სხვა ქვეყნებია მსგავს უბედურებას მოკლებული.

**— არჩევნების მეორე ტურს რაც შეეხება, ოპოზიციამ განაცხადა: ჩვენი კომისიის წევრებს გამოვიწვევთო. მოახერხებს ოპოზიცია არჩევნების ლეგიტიმურობის საკითხის დაყენებას? მათ, კვირას მასშტაბური აქცია დააანონსეს.**

— მათ მიერ დაანონსებული მასშტაბური აქცია, თავისთავად, საინტერესო მოვლენაა შემდეგი კუთხით: ყველას კარგად გვახსოვს, რომ ბოლო პერიოდში ოპოზიცია დიდ აქციებს, მიტინგებს ვერ ატარებდა, რადგან მათ დაძახილზე ხალხი არ მიდიოდა. საინტერესოა, რატომ გადაწყვიტეს მიტინგის ერთი კვირით გადადება, რათა ხალხი შეკრიბონ, რაიონებიდან ჩამოიყვანონ, როგორც ეს ცოტა ხნის წინ მოხდა, რასაც ახალგაზრდები შეეწირნენ თუ იმის გათვალისწინებით, რაც მათ დამკვირვებლების დელეგაციის წევრებმა უთხრეს: ჯერ პროცესი ბოლომდე მივიდეს, გაარკვიეთ რა ხდება, მერე, არსებობს კანონიერი გზები, მათ შორის, სასამართლო და ა.შ და ამ გზებით იბრძოლეთო. შესაძლოა ჩვენმა ოპოზიციონერებმა გადაწყვიტეს: უცხოელებს დაუჯერონ, რადგან მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია ლეგიტიმაციის საკითხი, რაზეც ახლა გაუთავებლად საუბრობენ, ეჭვქვეშ სწორედ უცხოელმა დამკვირვებლებმა დააყენონ.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24



## გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა ბასილი (მკალავიშვილი)

**როგორც სასულიერო პირი აღშფოთებული ვარ საქართველოში მიმდინარე მოვლენებით.**

**1990 წლიდან მოყოლებული დაიღალა ხალხი ამდენი სამშობლოს და სარწმუნოების მტრების ყურებით, მტერთან ლმობიერება არ გამოდგება. იუდას მსგავსი ხალხი, უნდა დაისაჯონ.**

**საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შეცდომა ის იყო, რომ ამბობდა მოწინააღმდეგეს ყვავილები ვესროლოთო. მტრებმა ეს ლმობიერება არად ჩააგდეს, ზარბაზნები დაუშინეს, სამშობლოდან განდევნეს და სიცოცხლეს გამოასალმეს, საქართველო კი მთლიანად ააოხრეს.**

**48 მილიონის გამფლანგველი გიგი უგულავა, ციხეში 8 კაცის მკვლელი გიგა ბოკერია, ბერძენიშვილები, სანიკიძეები, 7 ნოემბრის აქტიური მონაწილე, ახლა უტიფრად რომ ზის ნაცებთან — ბურჯანაძე, ორ გვამზე მეოცნებე ვანო მერაბიშვილი, დღეს ეს პირები თითს გვიქნევენ და გვემუქრებიან. ხელისუფლებაში მოსვლას ლამობენ, რომ კვლავ გაგრძელდეს მათი ტერორი.**

**ამ შავბნელი საქმეების ფონზე მოვიდა ბატონი ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში. იმედი მოგვეცა, რომ გვეშველებოდა.**

**სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა მოძალადეების, სამშობლოს გამყიდველების, მძარცველების და ავაზაკების სათანადოდ დასჯა. იქნებ ახლა მაინც გაითვალისწინოს და ხელისუფლებამ დაშვებული შეცდომები და კანონის ძალით მიაგოს დამნაშავეებს, რასაც იმსახურებენ.**

**მივმართავ პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი გახარიას, მივმართავ შს მინისტრს, ბატონ გომელაურს — დაუყოვნებლივ დასაჯეთ ეს ეგზალტირებული, კანონის ურჩი მოღალატენი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომავალში უარეს დღეში აღმოვჩნდებით.**

**საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ ნდობა გამოუცხადა მმართველ ხელისუფლებას, საზოგადოება ელოდება დაწყნარებას, სიმშვიდეს და რას ვხედავთ: დღე ისევ შეხლა-შემოხლა, გაუთავებელი მუქარა, მუშტის ქნევა. ისედაც მატერიალურად შეჭირვებულ ხალხს ფსიქოლოგიური სტრესი კარგ არაფერს მოუტანს.**

**ჩვენ ღმერთო გვიცავს, იქნებ გაგვარკვიოთ მაგათ ვინ „კრიშავს“ და ვინ მფარველობს?**

**ღმერთმა დაგლოცოთ.**





# ბუბა პაპას ვნებანი, ანუ
# РАСЦВЕТАЙ ПОД СОЛНЦЕМ, ГРУЗИЯ МОЯ

29 ოქტომბრის საღამო საბედისწერო აღმოჩნდა ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციისთვის, კერძოდ - „ნაციონალური მოძრაობისთვის“. ამათ პოლიტკუბოზე ჟანგიანი ლურსმანი საარჩევნო სიის პირველმა ნომერმა დააჭედა.

ვინ არის პირველი ნომერი?

ჰმ... 82 წლის ბუბა (ვახტანგ, მიმინო) კიკაბიძე!

საერთოდ, „ნაცებს“ წინასწარი ზეიმები სჩვევიათ, თანაც წაგების გამარჯვებად გამოცხადება და უსაფუძვლო ტაშიკვრა. გახსოვთ, როგორ იზეიმეს 2008-ში წაგებულ-გაყიდული ომი? ახლაც ეგრე ჰქნეს, თავისუფლების მოედანზე რეგიონებიდან თავიანთი 30-ლარიანი მომხრეები ჩამოყარეს, ხელში დროშები დააჭერინეს და აჟრიამულეს.

გამოაცხადეს, ჩვენ უკვე გავიმარჯვეთო, „ქართული ოცნება“ დამთავრდაო, ბიძინა ივანიშვილი საფრანგეთში გაიქცა გვირაბითო. აქაც დაუკრეს ტაში.

მას შემდეგ, რაც ზაალ (ძაან) უდუმაშვილი ნაკერავზე გაიხა,



სცენაზე ბუბა პაპა მოიწვია. ეხლაო, მე ბევრს არ ვილაპარაკებ, ორ დღეში გავიმარჯვებთ (აქ შეკრებილებს თვალი ჩაუკრა, თან კბილები ყველის ვაჭარივით დაკრიჭა) და უკვე სხვანაირი ცხოვრება იქნებაო. ჰო, ზეგიდანო, ეგრევეო!

ეხლა კიდენაო... უნდა გიმღეროთო, ჩემებურადაო.

დაიწყო... ჯერ ქართულად, მერე რუსულად.

ჰო, რუსულად-მეთქი, რუსულად!

**Расцветай под солнцем, Грузия моя, Ты судьбу свою вновь обрела. Не найти в других краях твоих красот, Без тебя и жизнь мне не мила.**

დაიბნა, კაცო, პუბლიკა, მშვენიერი სიმღერა დაწერა რევაზ ლაღიძემ („თბილისო“) 1959 წელს პეტრე გრუზინსკის ტექსტზე ფილმისთვის, რომელიც თბილისის 1500 წლის იუბილეს ეძღვნებოდა.

ვერ ვიტყვი, „ნაციონალები“ უხერხულში არ ჩავარდნენ-მეთქი. ჩავარდნნენ კი არა, აიჭრნენ, მაგრამ მაინც დაიწყეს ბუბა პაპას „გაპრავება“. ნანუკა ჟორჟოლიანმა, საქმე იყო ესეო, ტექნიკური შეცდომა მოხდაო, ფონოგრამა შეცდომით ჩართეს და ამასაც რა უნდა ექნა,ააყოლა პირიო. ნიკანორ მელიამ, მეც იქ ვიყავი, ეგ რო გავიგე, თმები ყალყზე დამიდგაო. რავი, თავზე არაფერი აქვს და... სხვაგან თუ დაუდგა ყალყზე თავის პატრონისთვის, არ ვიცი!

იმავე ღამეს ეკა კვესიტაძემ (კვნესომ) პირდაპირ ეთერში ჩართო ბუბა პაპა და დაუწყო ჩხიკინი: ბატონო ბუბა, შეგეშალათ, შეცდომით ჩაგირთეს, ხომ?

ამან, არაო, რა შეცდომითო, მე სუ ეგრე ვმღერიო, უკრაინაში დავდივარ ხშირად და ეგეთი პროგრამა შევადგინეო. რუსეთიდან 25-მა კაცმა უკვე დამირეკა, მადლობები მიხადეს, ეხლა გავიგეთ, რა ლამაზი ყოფილა საქართველოო. აი, ამაში ვეთანხმები, როგორც იქნა, რუსებმა გაიგეს, რომ საქართველო ლამაზი ყოფილა, აქამდე ჯოჯოხეთი ეგონათ.

ახლა კი იძულებული ვარ, ვაღიარო: მიუხედავად იმისა, რომ ამან, ამ კიკაბიძემ 1991-1992 წლებში ტყვია ესროლა საქართველოს, შემდეგ გადამწვარი რუსთაველის გამზირის აღდგენის ფონდიდან ფული (ძვირფასეულობა) რუსეთში წაიღო, „მოქალაქეთა კავშირში“ შევიდა, ედუარდ შევარდნაძეს მუხლები უკოცნა, შემდეგ ისიც გადააგდო და მიხა სააკაშვილს გაუგორდა, მაინც მეგონა, საერთაშორისო ასპარეზზე (უფრო მეტად რუსულ ბაზარზე) გასული კაცია, ცოტა აზროვნებს, ალბათ ერთიორი ცალი წიგნიც წაუკითხავს-მეთქი. ეეეჰ... თურმე მწარედა ვცდებოდი, მთლად ხელიდან ყოფილა წარსული.

სხვათა შორის, უფალი დიდებულია, ხშირად ჩვენ გვეჩქარება ხოლმე, თორემ ის თავის დროზე ყველაფერს სამართლიანად ალაგებს და როგორც ჩანს, ბუბა პაპას ცხოვრებისთვისაც მოიცალა.

რას გაუკეთა უფალმა ბუბა პაპას? ის, რომ 3 წუთში დასვა ქვეყნის მასხარად!

ეს კი, დამიჯერეთ, ყველაზე დიდი სასჯელია. აქ სიბერე არაფერ შუაშია, მოვიდა დრო და ეგრევე გააწნა სილა ყბაში.

აი, არსებობს კიდევ ერთი მასხარა - მერაბ სეფაშვილი, რომელმაც უკვე მეორედ შეირცხვინა თავი. როდესაც მიხა პრეზიდენტობდა, მიუჯდა მუხლებთან და უმღერა: ჩემი გმირი გიწოდე, ხელი გამოგიწოდეო. მაშინ ძალიან ბევრი იცინა ერმა.

ამჯერად კი... როგორც ამბობენ, სეფაშვილმა მთელი „სანაცეთის“ გულისტკვილი ამოხეთქა სიმღერაში, რომელიც ბუბა პაპას გამოსვლის შემდეგ შეასრულა. მე არ ვიცი, ასეთი აბდაუბდა ტექსტი ვინ დაუწერა, მაგრამ იდეა და შინაარსი მაინც გასაგებია:

„შენ ახლა შორსა ხარ,
ვერ მოგაწვდინე ხმა,
თითქოს დამთავრდა ყველაფერი
და მაინც ვერ გელევი.
შენ ახლა შორსა ხარ,
ძალიან შორს,
სევდიან ფიქრებში მენატრები,
იქნებ შენს ნაცვლად
მოვიდა სხვა,
მე კიდევ გელოდები,
დრო განშორებამ მოიტანა,
რაღაც მინდოდა შენთვის,
ქარმა სიტყვები მოიტაცა,
ვერ გაგაგონე ვერაფერი,
ისევ გეძახი, მაგრამ სიჩუმე დგას,
მე შენზე ფიქრი მახსენებს თავს,
შენ აღარ მოხვალ,
მე მაინც გელოდები“.

კარგად დააკვირდით (პრინციპში... დაკვირვებაც არ უნდა), ეს არის ღია წერილი მიხა სააკაშვილისადმი. შენ ახლა შორსა ხარო, კიევში ზიხარო, თითქმის დამთავრდა ყველაფერი და მაინც ვერ გელევი, სევდიან ფიქრებში მენატრებიო... თუმცაო, შენ აღარ მოხვალ, მაგრამ მე მაინც გელოდებიო. მერაბა ვერ მალავს გულში ნადებ ფიქრებს, არ შეუძლია დამალვა, აქ იყო, უყვარდა, მის მზესა ფიცულობდა, იქ არი - უყვარს, გიჟდება, ჭკუაზე აღარ არი.

მაშინ, როცა ამ წერილის დასრულებას ვაპირებდი, ახალი ცნობა მოვიღე ბუბა პაპას შესახებ: 31 ოქტომბერს, დილით სახლიდან გასულა და საარჩევნო უბნამდე ვერ მიუღწევია, გზა არევნია და სხვა უბანზე მისულა. იქიდან გამოუბრუნებიათ, მაგრამ ისევ სხვა გზით წასულა, ნავთლუღისკენ. „ნაცებმა“ ამ შემთხვევაშიც „გააპრავეს“, გზა გი არ შეეშალა, უბრალოდ მხარი ექცა, ორიენტაცია აერია, ეგ შეიძლება ნებისმიერ მოქალაქეს დაემართოსო.

აუჰ, ჩემ ნაკლზეც უნდა გითხრათ... ბოლო დროს ძაან გულჩვილი გავხდი, მაინც მეცოდება ეს გზააბნეული ბებერი... ერთი წუთით, თქვენი ნებართვით გადავურეკავ:

ალიო, ბუბა პაპავ, პარლამენტი სად არი, იცი?

ლილოში?

არა, ეგ ბაზრობაა.

რაო? მეზობელმა აშოტამ გითხრა, ნავთლუღში გადაიტანესო?

მაიცა, მანდაც ბაზრობა არ იყო? მაგასაც მოუტყუებიხარ, რავა ყველა შენ გატყუებს? გინდა, მიგასწავლო?

ეხლა კარგად დამიგდე ყური... სახლიდან რო გამოხვალ, დოიტოღრივ დეეშვები ქვაფენილზე, გადაუხვევ მარჯვნივ, ორღობეში წაუღიღინებ რუსულად, ამოხვალ ფილარმონიასთან, ჩახვალ მიწისქვეშა გადასასვლელში, 20 თეთრ გადაუხდი „სემიჩკი“ გამყიდველ სირანას, ტუალეტი კართან რო ზის, შეხვალ, მიაფსამ, ამაიქაქანებ. მემრე ამოხვალ, გაუყვები ლაღიძი წყლებისკენ, ცოტა რო გასცდები, ორი კაცი დგას, სუ იქა დგანან, ერთსა ჯოხი უჭირამ, მეორე კიდე ცოტა იმნაირათ იყურება - დინჯად. რომელსაც გინდა ჰკითხო, მიგასწავლიან, ჯოხიანს ცოტა მწკლარტე ენა აქ, შეიძლება გაგაშაყიროს, თან ბიძინა ივანიშვილის კუთხიდან არი... მეორესა ჰკითხე. კაი, მიდი... თუ რამე, გადმორეკე.

ტელეფონი ცალმხრივადა გაქ გათიშული? ეეე... ბიძინა რო გამლევდა, რა უყავი? შემოგეჭამა? ცხოვრება გაძვირდა? მაგაზე არ ინერვიულო, სამსახური ხო იშოვნე პარლამენტში? კაი, მოკლედ, თუ რამე, ზარი გამოუშვი და გადმოგირეკავ.

აჰა, მაინც არ მომცა საშველი ჩემმა უკეთილშობილესმა გულმა, მივასწავლე, სად უნდა იკითხოს პარლამენტის მისამართი. არა მგონია, მიაგნოს, მაგრამ ვინმე სალარომდე მაინც მიიყვანს, რომ ხელფასი აიღოს. ამაზე ნუ გამკიცხავთ, ნათქვამია, მადლი ქენი, ქვაზე დადე, გაივლი და წინ დაგხვდებაო.



**P.S.** არ გეგონოთ, ბუბა პაპასთან მართლა დავრეკე, ვხუმრობ. თუმცა მსგავსი რეკომენდაცია მას მართლა სჭირდება.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# საქართველოს იანუსების ლაშქარი შემოესია

რეგიონებიდან ხმები მოვიდა: ოპოზიციური პარტიები ფულს არიგებდნენ მოსახლეობაში, ზოგი 100 ლარს იძლეოდა ერთ ხმაში, ზოგი — 150-ს, ზოგიც 200 ლარზეც არ იხევდა უკან. თანაც ამას ღიად, დაუფარავად აკეთებდნენ, არც არავის ეშინიათ, არც არავის ერიდებოდათო.

— კონკრეტულად რომელი პარტიები აკეთებდნენ ამას-მეთქი, რომ ვიკითხე, — „ქართული ოცნების“ და წვრილ-წვრილი პარტიების გარდა ყველაო — მიპასუხეს.

განსაკუთრებით „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი განაყოფი პარტიები გულუხვობდნენ თურმე.

— საიდან აქვთ ამ ოხრებს ამდენი ფული? რომელიმე ბანკი ხომ არ გაძარცვეს ამ ბანდიტებმაო? — იკითხა ერთმა მოქალაქემ.

ბანკი კი არა 1995 წლიდან მთელ ქვეყანას ძარცვავდნენ და აყაჩაღებდნენ და რა გიკვირთ, თუ დიდი ფული აქვთ? არავის არაფერი წაურთმევია მათთვის, ყველაფერი შერჩათ, ყველაფერი შეირგეს და გამოაქვთ ახლა ცოტ-ცოტა მუთაქებიდან, რომ კვლავ ხელისუფლებაში მოვიდნენ და ნაძარცვ-ნაყაჩაღარს საიმედოდ უპატრონონ.

— კი, მაგრამ, ფულს ასე წაღმა-უკუღმა რომ არიგებენ, არ ეშინიათ, რომ ის თანხა ტყუილუბრალოდ დაკარგონ? — ვკითხე ერთს.

— არა, არც ისე გულუბრყვილონი არიან, თქვენ რომ გგონიათ... ხელს აწერინებენ რაღაც ქაღალდებზე, პირადობის მოწმობის ნომრებს იწერენ. ამას წინათ „ჩპ“-ე მოხდა ჩვენს სოფელში. ერთ ოთხსულიან ოჯახს 600 ლარი მისცეს (ერთი ხმა — 150 ლარი), მეორე დღეს მივიდნენ და ფულის უკან დაბრუნება მოსთხოვეს — თქვენ ამა და ამ პარტიიდან უკვე აგიღიათ ფული, ამდენი და ამდენი. ასე რომ, დაგვიბრუნეთ უკან, რაც მოგეცითო. იმათაც დააბრუნეს, სხვა რა უნდა ექნათ? ეტყობა, რაღაც საერთო საინფორმაციო ბაზა აქვთ და იქიდან იგებენ ყველაფერს — ასეთი დაუჯერებელი ამბავიც მიამბო ერთმა მოქალაქემ.

აი, ასეთი საქმეების ჩამდენები, ეს პოლიტიკური ჩარჩ-ვაჭრები და მევახშეები გადმოდგებიან ღამ-ღამობით ტელეაივნებიდან და ურცხვად და უტიფრად იშვერენ ხელს „ქართული ოცნებისკენ“ — ადმინისტრაციულ რესურსს იყენებენ, დიდ ფულს არიგებენ მოსახლეობაში, ხმებს ყიდულობენ, ჩვენ კიდევ ისეთ იდეებს, ისეთ პროექტებს ვაწვდით მოსახლეობას, რომ უანგაროდ, ენთუზიაზმით მოგვყვებიან უკან და მზად არიან ჩვენთან ერთად იბრძოლონ გამარჯვებისთვისო.

ამას რომ ამბობენ, თან ისე უტიფრად გიყურებენ თვალებში, წამწამებიც კი არ აუტოკდებათ.

ასეთი სინდისგარეცხილები, ასეთი შუბლისძარღვგაწყვეტილები, ასეთი თვალთმაქცები და აფერისტები როგორ არიან? სად ასწავლეს ეს ყველაფერი, სად გაწვრთნეს, სად ამოჭრეს შუბლის ძარღვი?

„ჯუნიორ“ ვაშაძეა ერთი, ენას რომ გადაიფენს მხარზე და აღმაშენებლობას რომ იჩემებს, სწორედ ამ ჯუნიორზე მითხრეს, დიდ მაყუთს არიგებ და თურმე.

არადა, რომ ჰკითხო, უპატიოსნესი და უწესიერესი კაცია, ერთადერთი ცოდვა აქვს მხოლოდ — „ძველ დროში“, ანუ ნაცების დროს, როგორც ამბობენ, ყალბ პირადობის მოწმობებს ბეჭდავდა ათასობით და ათიათასობით.

აი, ასეთი და ამნაირი „ჯუნიორი“ ახლა აღმაშენებელი გამხდარა, გვერდით კი მდედრობითი სქესის ორი „ჭყონდიდელი“ უზის — თეონა და თაკო.

ამათი იმედით აპირებთ თქვენ, პატივცემულო „ჯუნიორ“, ქვეყნის აშენება-დამშვენებას?

სუფთა „ვოზდუხია“ ეს კაცი. სამაგიეროდ, ფული აქვს, თანაც იმდენი, რომ ქალაქ-ქალაქ, სოფელ-სოფელ დაუნანებლად არიგებს.

„ჯუნიორს“ არც სხვები ჩამორჩებიან, განსაკუთრებით მამუკა ხაზარაძეს „აქებენ“ — ნამეტანი ხელგაშლილად იქცეოდაო.

თუ „ჯუნიორი“ დავით აღმაშენებლობას იჩემებს, ხაზარაძე მარშალის გეგმის განხორციელებას აპირებს საქართველოში.

— აღმაშენებელი გაგვიგონია, მაგრამ ეს მარშალი ვინღააო? — კითხულობენ დაბნეული ამომრჩევლები.

ეჭვი მაქვს, სანამ ესენი მარშალის გეგმის ანაბანაში გაერკვევიან, მომდევნო არჩევნები მოგვადგება კარს, მაგრამ ეს ამბავი ხაზარაძეს დიდად არ ანაღვლებს, მთავარია, რამდენიმე კაცით როგორმე პარლამენტში შეასწროს, რომ პარლამენტარის იმუნიტეტით აღჭურვოს და მის თავზე დამოკლეს მახვილივით დაკიდულ მართლმსაჯულებას საღ-სალამათი გადაურჩეს.

— ათიათასი სამუშაო ადგილი შევქმენი მე და 200 მილიონერი შევმატე საქართველოსო, — იკვეხნის გაპოლიტიკოსებული ხაზარაძე მაგრამ იმას მალავს, რომ ათიათასი სამუშაო ადგილი რომ შექმნა, ორჯერ და სამჯერ ათიათასი ადამიანი უმუშევარი დატოვა, ხოლო ორასი ადამიანი მილიონერი რომ გაეხადა, მინიმუმ 200 000 ადამიანს ცხრაპირი ტყავი გააძრო.

თავმოყვარე ქვეყანაში, სადაც ერს ერი ეთქმის, ხაზარაძისნაირი მევახშე და მეპროცენტე არათუ პარლამენტში შესვლას გაბედავდა, არამედ ხალხში გამოჩენასაც კი მოერიდებოდა, თუმცა ეს ისეთი ქვეყანაა, სადაც ყველაფერი უკუღმაა, ყველაფერი შეთავსებადია.

ნორმალურ ქვეყანაში ქურდები ქურდობენ, ბანდიტები ბანდიტობენ და მეტი არაფერი.

საქართველოში ქურდები ქურდობენ, ბანდიტები ბანდიტობენ და თან პარლამენტარობაც უნდათ.

ნორმალურ ქვეყანაში აფერისტები აფერისტობენ, საქართველოში აფერისტობითაც აფერისტობენ და, შეთავსებით, რომელიმე საპასუხისმგებლო თანამდებობაც უნდათ.

ნორმალურ ქვეყანაში ბოზები ბოზობენ და სხვა პრეტენზია არ აქვთ, საქართველოში თან ბოზობენ და თანაც უმანკოებისა და უბიწობის დამადასტურებელი ცნობის დათრევაზე ჩალიჩობენ.

ორმაგი სტანდარტი, ორმაგი ფსკერი, ორმაგი სარჩული, ორმაგი სახე — წინიდან სხვაა, უკნიდან — სხვა.

2003 წელს საქართველოს იანუსების ლაშქარი შემოესია და აგერ უკვე 17 წელია ქვეყანას აუპატიურებენ.












# ხალხის ხმა: „ქართულო ოცნებავ“, დაიცავი ჩვენი ხმები, თუ არადა ჩვენ თვითონ გავცემთ პასუხს ამ არამზადებს!

რას ფიქრობს საზოგადოება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე, ამას ვფიქრობთ, მეტ-ნაკლებად სოციალური ქსელებიდანაც შეიტყობთ.

სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება მოჰყვა პოსტს, სადაც ფეისბუქმომხმარებელი კოლექტიური ნაცების მიერ მიღებული ხმების რაოდენობაზე საუბრობს. „დარწმუნებული ვარ, ბევრი ამომრჩეველი უკმაყოფილოა ნაცფაშისტების მიერ მიღებული ხმებით. ეს ბევრი მიზეზის შედეგია, პირველი ისაა, რომ ნაცფაშისტები ფლობენ ისევ საქართველოდან გატაცებულ მილიარდებს. საქართველოს ეკო-




ნომიკაში სერიოზულია იმ კომპანიების წილი, რომელთა ფინანსური სახსრები ნაცფაშისტების მიზნებს ემსახურება; ნაცფაშისტები ფლობენ პროპაგანდის ძლიერ საშუალებებს, რომლებიც ვიწროპარტიულ ინტერესებს ემსახურებიან, ახორციელებენ სიცრუის ტირაჟირებას და ახერხებენ ათასობით ამომრჩევლის შეცდომაში შეყვანას. ნაცფაშისტები საქმიანობენ ბოლშევიკური მეთოდებით და პრინციპით, მიზანი ამართლებს საშუალებებს და ამისთვის სჩადიან უმძიმეს დანაშაულობებს, სამშობლოს ღალატს, ძალადობას, დაშინებას. სანამ იარსებებენ ნაცფაშისტები, საქართველო ვერ დაწყნარდება, მუდამ იქნება შესაძლებლობა ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის. ნაცფაშიზმი უნდა დასრულდეს, „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა აიკრძალოს. ამის სამართლებრივი საშუალებები და რაც მთავარია, გაუგონარი დანაშაულობების ფაქტები არსებობს“, აღნიშნავს იგი. „საერთო გაზეთსაც“ არაერთხელ უსაუბრია, ნაცებისა და მათი ბელადის, უკრაინას შეხიზნული სააკაშვილის მიერ გატანილ მილიარდობით დოლარზე. კომპეტენტური წყაროების განცხადებით, მარტო ამ ბებიის პენსიით „მოარსებე“, კიევის „კრიშებზე“ მორბენალი პერსონიის მიერ საზღვარგარეთ გადაქაჩული ფინანსები, უხეში გათვლებით 18–19 მილიარდ დოლლარს უტოლდება. რაც შეეხება მსხვილ საწარმოებს, იგივე „ზედაზენი“, ბარამბო, კაზრეთის „მადნეული“, დმანისელი „აფთიაქარის“ სააფთიაქო ქსელი და ა.შ. რა თქმა უნდა, ნაცების „ობშჩიაკის“ შესავსებად „იღწვის“. იგივე პოზიციაზე არიან სხვა ფეისბუქმომხმარებლებიც; ზუსტად ეგ არის მიზეზი, ბიზნესის 80%, შენობები, სკოლები, ბაღები, საავადმყოფოები მაგათ ხელშია, აბა რისთვის იყვნენ ხელისუფლებაში?! ყველაფერი აქვთ, ფულიც, სახლებიც, აგარაკებიც, როცა მოუნდებათ, არც სეირნობა აკლიათ კუნძულებზე. ერთი ძალაუფლება არ აქვთ ოფიციალურად, რომ თავიანთი მანიაკალური ვნებები დაიკმაყოფილონ. ესაა სულ და ამისთვის იბრძვიან!

„ქართული ოცნების“ ერთი მხარდამჭერი მოუწოდებს თანაპარტიელებს, თქვენ მაინც მიგიწვდებათ ხმა რომ გააგებინოთ, შტაბებში რომ შეყარეს ამდენი უსაქმური ახალგაზრდა, ფეხებზე რომ კიდიათ „ქართული ოცნება“, მარტო გასართობად და მუცლის გასაძღობად რომ დადიან. რატომ გვაიგნორებენ მებრძოლებს და პატრიოტებსო. მეორე წერს, აი, ესაა ჩვენი უბედურება, საჯარო სამსახურში მომუშავე, ვითომ „ქართული ოცნების“ წევრები, ხუთიანს ხაზავო – პასუხობს მეორე. თუ „ოცნება“ არ შეეცდება ჩვენი ხმების დაცვას, მერე სხვანაირად მოვიქცევით. ადრეც მითქვამს, რომ ნაცობა სისხლისღვრასა და სამოქალაქო დაპირისპირებაზეა წამსვლელიო. ახალგაზრდა ქალბატონი ნაცების დაუსჯელობაზე აკეთებს აქცენტს, ეს იმიტომ ხდება, რომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ბრალდებულს, 48 მილიონის ქურდსა და მკვლელობაში



ბრალდებულებს უფლება აქვთ არჩევნებში მონაწილეობის მიღების და ციხეში არ სხედანო. ადვოკატ პაატა ზაქარეიშვილის აზრით, უნდა გაუქმდეს არამხოლოდ არჩევნების შედეგები, არამედ ძირეულად უნდა შეიცვალოს „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სია და განახლებულ სიაში პირველ ნომრად ბიძინა ივანიშვილი უნდა ეწეროს. ამ პოზიციას საკმაოდ ბევრი ადამიანი იზიარებს, ჩვენ „ოცნება“ ბიძინა ივანიშვილით გვინდოდა და გვინდა და არა ამ ნაყარნუყარი ჩანერგილ-პორტირებული მედროვეების გასაძღომადო. საგულისხმოა უცხოეთში მცხოვრები ქართველის პოსტი, რომელიც წერს, საერთოდ, საკანონმდებლო დონეზე უნდა აიკრძალოს ნაცები. უნდა დაისაჯონ არამარტო ლიდერები, რომლებიც გასვრილი არიან სისხლში, არამედ უნდა მოხდეს მათი ჯალათების გასამართლება, მხედველობაში მყავს მარტო „მსხვილი“ ჯალათები კი არა, „წვრილმანი“ ჯალათებიც. ევროპაში ვარ და ვგიჟდები მიშას დროინდელი კუდისა და ციხის იმდენი თანამშრომლები არიან აქ. ზოგი ლტოლვილადაა ჩაბარებული, ზოგი კიდევ რად. ყველა ესენი, ყოველ შემთხვევაში მე ვინც ვიცი, საქართველოს შეგნებულად უტეხავენ სახელს. ბევრი მათგანი ადგილობრივ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობს და მათ შეგნებულად აწვდიან დამახინჯებულ ინფორმაციას. ეს ყველაფერი იციან საქართველოს საელჩოებმაც და საკონსულოებმაც, მაგრამ არაფერს აკეთებენ. ეს ჯალათებიც თავისუფლად დაეთრევიან და მათ ადგილობრივი სპეცსამსახურები „კრიშავენ“. უნდა დამთავრდეს ეს ნაგვობაო.



ყველა უწყება და საჯარო სამსახური რომ ნაცებითაა გაძეძგილი, ყველას კარგად მოეხსენება. ამ კონტინგენტის“ პროფესიონალიზმი კრიტიკას ვერ უძლებს, თუმცა „მეოცნებეების“ ლიდერშიფი ვერაფრით ელევა ნაცების „დანატოვარს“. იგივეზე საუბრობს „ოცნების“ სტაჟიანი მხარდამჭერი ქალბატონი თეაც, რვა წელია ნაცებს მიტინგზე 5.000 კაცზე მეტი ვერ გამოყავთ, არჩევნებში კი ნახევარი მილიონი აძლევს ხმას. ეს ის მასაა, საჯარო სამსახურებში რომ არიან კარგად მოკალათებული, ჩუმად რომ არიან და არჩევნებზე ნაცებს აძლევენ ხმას. ესენი დაპურებული გყავთ, „ქართული ოცნების“ მომხრეები გვერდზე გაწეული და დამშეული. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. თუ აპირებთ მათთვის ხელისუფლების გადაბარებას, ეგ სხვა თემაა, თუ არადა მიხედეთ იმ ხალხს, ვინც თავის დროზე ხელისუფლებაში მოგიყვანათ და თბილ სავარძლებში ჩაგსვათ. დაიმახსოვრეთ და გაითვალიწინეთ, თუ არ დააფასებთ ამ ხალხს, მომავალ არჩევნებზე 27% თქვენი იქნებაო. ყველა ოპოზიციური პარტია ამბობს გაგვიყალბესო, გამოდის „ქართული ოცნებისთვის“ ჩვენ ხმა არ მიგვიცია. გავიდეთ „ოცნების“ ყველა მომხრე და დავანახოთ რამდენი ვართო. ძნელია არ დაეთანხმო ადვოკატ ირაკლი ზაქარეიშვილს, რომელიც წერს, სიმართლე სინათლეა! 2015 წლის მიწურულს კოჰაბიტირებულებს ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერმინისტრის პოსტიდან გადაყენებისთვის რომ ვერ მიეღწიათ და ის გიორგი კვირიკაშვილით არ ჩაენაცვლებინათ, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობა“ მიიღებდა სამი თითის კომბინაციას და დღეს მათი ბურდღაც არ იქნებოდაო. ეს პოსტი ერთგვარი პასუხიცაა იმ უზნეო მოქირქილეებისთვის, ღარიბაშვილი 2012 წლის მერე იმუქრებოდა ნაცების რადარებიდან გაქრობით, მაგრამ ისინი 2020 წელსაც მთავარი ოპოზიციააო.

ფეისქბუქმომხმარებლები ძალზე გაახალისა ნიკანორ მელიას „გმირულმა“ ჟესტმა, პოლიციის მიერ შებმული სამაჯური რომ მოიგლიჯა და გასტყორცნა. აღმოჩნდა, შინაურისთვის მიუცია პასის



სახით. ქართლელი დევნილი წერს, ეს მელია რომ მართლა მელაა. კი არ გადაუგდია სამაჯური, არამედ წინასწარ ედგნენ მეთვალყურენი არ დაკარგულიყო და მიეწოდებინათ. მოკლედ, ირაკლი ზაქარეიშვილი არც იუმორში უდებს ვინმეს ტოლს. ფეისბუქმეგობრებს მოგვეხსენება, როგორ „უყვარს“ ირაკლის ქართული ჟურნალისტიკის „დედა“, „ჟურნალისტ-გამომძიებელი“ ელისო კილაძე. ეს პოსტიც მას მიუძღვნა — ელო (კილაძე) ნანობს, რავა მევიჭერი კუჭი და დევისუსტე ტრაკი, ეხლაც რომ მარაკანას სტადიონივით დიდი მქონდეს, ხომ ერთბაშად ამოვქოლავდი პარლამენტის შესასვლელსო. კილაძის პირმშო დათო ხარშილაძემ ისეთი დითირამბები უძღვნა თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანს, მთელი საქართველო „შოკშია“. ამის გამოძახილია შემდეგი პოსტიც, ეხლა ერდოღანი ჩამოვა ჯარით და ის ჩადგება კარებში. ელო, შე ღვთის გლახა! არადა, ერთი კონტრაქცია რომ მოუწყო, ეგრევე ჩუმად გაიპარება ესეც და მისი ქათამი შვილიცო.

როგორც ყოველთვის, იუმორის მთავარი ობიექტი კუდმოპუტული ფარშევანგი სააკაშვილია. ვიღაცა უკრაინიდან ჩამოსვლას აპირებდა და სად წავიდა, ხომ არ იცით?! გვირაბს თხრის, მალე მორჩებაო, პასუხობს მეორე. ლუკაშენკოს შემოუთვლია, დიდი ხანი არ „აბლატაოთ“ „პროტესტანტი“ კოლექტიური ნაცები, მიაყენეთ ერთი „გავნავოზი“ და დაშალეთ „ნაპორით“, რასაც ჩემი ენაკვიმატი მეზობელი პასუხობს, მაგას სჯობს გუბაზას პურგენი დაალევინონ, რომელი „გავნავოზი“ აჯობებსო. მეორე ნიკანორ მელიას მიმართავს, სამაჯური შენით დაიბნიე ისევ? შიში ოხერია. ბიჭო, ისე, მამაშენმა თავი სამჯერ „მოიკლა“ და არ შეშინებია, შენ ვის გავხარო. გუბაზ სანიკიძის ოპოზიციისადმი მიმართვამ, ხვალ დილიდან გონს მოეგეთ და დაუმორჩილებლობა დაიწყოს. გამოდით მდგომარეობიდან დროზე, გამოფხიზლდით, ქვეყანა არის ჩასაბარებლად გამზადებული რუსეთისთვის, მივიღოთ გადაწყვეტილება, ან ვიწყებთ დაუმორჩილებლობას, ან ხდება გადატრიალებაო, გადატრიალებულიც ხარ და ამოყირავებულიც, შე მძოროო.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# პოლიტიკური ორგანიზაციაა თუ ბოშათა ბანაკი?



ნაციონალები ბოშათა ბანაკივით ქალაქიდან ქალაქში დაეხეტებიან და საცირკო წარმოდგენებს მართავენ.

ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში, ერთი მიტინგიდან მეორე მიტინგზე თავიანთი მხარდამჭერების ერთი და იგივე ჯგუფებს დაატარებენ და ასე ქმნიან ილუზიას, თითქოს მთელი საქართველო ნაცებს და კრამიტდაცურებულ მიშას უჭერს მხარს.

ბორბლებზე შეყენებულ, მოტორიზებულ ერთი და იგივე მიტინგს დაატარებენ აღმა-დაღმა ეს პოლიტიკური „ცირკაჩები“, უკან თავიანთი ჯიბის ტელევიზიები დაჰყვებიან, სხვადასხვა რაკურსით იღებენ „ისტორიულ“ კადრებს, მერე ამ კადრებს დაამონტაჟებენ, მიტინგს მიტინგზე მიაწებებენ, ას კაცს ათასად წარმოაჩენენ და ასე ქმნიან საერთო სახალხო პროტესტის და მღელვარების დამადასტურებელ „დოკუმენტურ“ „პანორამას“.

გასაკვირია პირდაპირ — ამდენი სიყალბე, ამდენი სიცრუე, ამდენი თვალთმაქცობა, ამდენი ჯამბაზობა როგორ შეუძლიათ?

ნამდვილი ტაკიმასხრები არიან, ნამდვილი კლოუნები, ოღონდ ბოროტი ტაკიმასხრები და ბოროტი კლოუნები.

აი, ის ადამიანები, რომლებიც ამ მიტინგებზე დგანან, რით ვერ ხვდებიან, რომ მიტინგზე კი არა იმ სისხლის ტბაში დგანან, რომელიც ამ ბოროტმა კლოუნებმა დააყენეს საქართველოში.

— როგორ ვერ ხვდებიან, მაგრამ აქ დგომაში ფულს იღებენ... როგორც სამსახური ისეა... ერთ მიტინგზე დგომა — 70 ლარი... კვირაში 2–3 მიტინგს თუ დაესწრები, თვეში 600–700 ლარი გამოდის... ამ უმუშევრობის და გაჭირვების დროს არ არის ცუდი ფული, — მითხრა ერთმა მოქალაქემ, რომელსაც არც დაუმალავს, რომ კარგა ხანია ნაციონალებთან მომიტინგედ „მსახურობს“ და პურის ფულს ამით შოულობს.

ამომრჩევლის მოსყიდვა ჰქვია ამას, მაგრამ ამ, ფაქტობრივად, ღიად ფულის ჩამორიგების ფაქტებს ვერავინ ამჩნევს.

— საიდან აქვთ ოპოზიციაში მყოფ „ნაცებს“ ამდენი ფული? — ამ კითხვის დასმა არც ღირს, რადგან ყველამ იცის, რომ ხელისუფლებაში ყოფნის დროს საათივით აწყობილი უზარმაზარი ბიზნეს-ქსელი ნაცებმა უდანაკარგოდ შეინარჩუნეს და დღესაც ისევე ხვეტავენ ფულს, როგორც ადრე ხვეტავდნენ.

რა პოლიტიკოსები და რისი პოლიტიკოსები, ბიზნესმენები არიან ეს თვალთმაქცები და პოლიტიკოსობა და ძალაუფლება იმისთვის ჭირდებათ, რომ თავიანთ ბიზნესებს უპატრონონ, ხოლო ეს გაჭივებული ადამიანები, მიტინგ-მიტინგ რომ დაატარებენ ცხვრის ფარასავით, ფარად აიფარონ წინ და ცხვრებივით აბღავლონ: დემოკრატია! თავისუფლება! სამართლიანობა!

პოლიტიკოსები კი არა ესენიც არ იყვნენ ტომა სანკარას იდეური მიმდევრები და მოწაფეები.

გრ. ვაშაძეს და გ. ვაშაძეს, ბაქრაძეს, ბოკერიას, უგულავას და ვ.მერაბიშვილს, ოქრუაშვილს, ბურჯანაძეს, ადეიშვილს, მელიას, კეზერაშვილს, რურუას, სხვებს და სხვებს, თითქმის ყველას იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველას ბიზნესები აქვთ, ხოლო „ნაცმოძრაობის“ ბელადი სააკაშვილი, რომელსაც ვითომ დედიკო გიული არჩენს დღემდე, ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში.

სულ ბიძინა ივანიშვილის ჯიბეში რომ იჭყიტებით, ერთი ამათ ჯიბეებშიც ჩაიხედეთ და დარწმუნდებით: საქართველოს და ქართველი ხალხის ძარცვით და დაყაჩაღებით ნაშოვნი მილიონები ულაგიათ ჯიბეებში დასტა-დასტა ამ მართლაც ბანდიტებს და ყაჩაღებს.

იქნებ არჩევნების შემდეგ მაინც აღნუსხოს და აღრიცხოს ვინმემ ამ ავაზაკების უზარმაზარი ქონება, რომ ქართველი ხალხის ის დაზომბირებული ნაწილი, რომელსაც ჯერ კიდევ სჯერათ ამათი პატიოსნებისა და წესიერების, ბოლოს და ბოლოს მიხვდეს, ვისთან აქვთ საქმე.

**დავით ქავთარია**



## მამუკა მდინარაძე – ოპოზიციური პარტიები „ნაცმოძრაობის“ ბულინგის ქვეშ არიან

ვფიქრობ, რომ ოპოზიციური პარტიები თავად "ნაცმოძრაობის" ბულინგის ქვეშ არიან, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ გეგმაა, რომ საკუთარ ამომრჩეველს გამოუცხადოს ბოიკოტი, რადგან მდინარაძის თქმით, იმ შემთხვევაში თუ პარტია პარლამენტში არ შევა, ის ადამიანები დაკარგავენ საკანონმდებლო ორგანოში საკუთარ წარმომადგენელს, რომლებმაც „ნაციონალურ მოძრაობას“ გამოუცხადეს მხარდაჭერა.



მდინარაძემ იმედი გამოთქვა, რომ ოპოზიცია თავის პასუხისმგებლობას გაიაზრებს და საკუთარ ამომრჩეველს ბოიკოტს არ გამოუცხადებს.

„პარტიები, რომლებმაც ყველა, თუნდაც ტენდენციური კვლევის შედეგად, იღებდნენ იმავე პროცენტულ მაჩვენებელს ეგზიტპოლის ჩათვლით, რა პროცენტული მაჩვენებელიც დღეს ამ წუთის მდგომარეობით ასახულია მათ შედეგებში ცესკო-ს შესაბამის საიტზე, არიან დღეს „ნაცმოძრაობის“, შედარებით დიდი პარტიის, ბულინგის ქვეშ. „ნაცმოძრაობის“ გეგმაა თავის ამომრჩეველს გამოუცხადოს ბოიკოტი, იმიტომ, რომ იმ შემთხვევაში თუ ისინი პარლამენტში არ შევლენ, მათ მხარდამჭერებს არ ეყოლებათ საქართველოს პარლამენტში ის ხმა, რომლისთვისაც მხარდაჭერა საარჩევნო ყუთთან გამოხატეს. მე გულწრფელი იმედი მაქვს, ისინი მიხვდებიან, რომ არ შეიძლება საკუთარ ამომრჩეველს და საკუთარ ქვეყანას გამოუცხადო ბოიკოტი. თუკი ვინმე განზრახ ეცდებოდა არჩევნებში ვინმესთვის ხმა მოეპარა, ამ შემთხვევაში ყველა მათი მესიჯი მართალი იქნებოდა, მაგრამ, როდესაც მათ პროტესტს რეალური საფუძველი და სიმართლესთან შემხებლობა არ აქვს, როდესაც ისინი ტექნიკური ხარვეზების გამოყენებით ცდილობენ, დაარწმუნონ ამომრჩეველი და საზოგადოება, რომ მათი ხმა მოიპარა ვიღაცამ, მაშინ ჩვენი ხმებიც მოუპარია იმ ვიღაცას, მაგრამ ასეთი ვიღაცა ბუნებაში არ არსებობს. ეს არჩევნები საერთაშორისო თანამეგობრობის შეფასებით იყო კონკურენტუნარიანი და ყველა წინა არჩევნებთან შედარებით შეინიშნებოდა პროგრესი, მათ შორის, როგორც საკანონმდებლო, ისე მისი აღსრულების დონეზე. პოლიტიკური პასუხისმგებლობა მათ თავზე ასაღებია, მათი პასუხისმგებლობის საკითხია და მე ვფიქრობ, რომ ამ პასუხისმგებლობას ისინი გაითავისებენ, არ დაექვემდებარებიან „ნაცმოძრაობისა“ და მათი ერთი თუ ორი ლიდერის ბულინგს და არ გამოუცხადებენ ბოიკოტს საკუთარ ამომრჩეველს,“ – განაცხადა მდინარაძემ.

## გიორგი კახიანი – „ნაციონალურ მოძრაობას“ არ აქვს იმდენი პოლიტიკური ღირსება, რომ მარცხი აღიაროს

ყველას ძალიან კარგად გვესმოდა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ არ აქვს იმდენი პოლიტიკური ღირსება, რომ მარცხი აღიაროს, – ამის შესახებ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიორგი კახიანმა ჟურნალისტებთან განაცხადა.



კახიანის თქმით, ოპოზიციური პარტიები „ნაციონალური მოძრაობის“ ტყვეობაში არიან.

„სამწუხაროდ, „ნაციონალური მოძრაობის“ თამაშს აყოლილები არიან ის პარტიები, რომლებსაც შედარებით ნაკლები მხარდაჭერა აქვთ – ისინი „ნაციონალური მოძრაობის“ ტყვეობაშიც კი იმყოფებიან. ვნახოთ, პროცესი მიმდინარეობს, მეორე ტურამდე კიდევ სამი კვირა არის, დარწმუნებული ვარ იმ ფონზე, როდესაც ფაქტობრივად მთელმა საერთაშორისო თანამეგობრობამ პროპორციული არჩევნების და მაჟორიტარული არჩევნების პირველი ტურის ლეგიტიმაცია აღიარა, ამ ფონზე, როდესაც სრულიად უსუსურ განცხადებებს ვისმენთ ოპოზიციის მხრიდან, პროცესების ასეთი განვითარება მათ პოლიტიკურ ჩიხამდე მიიყვანს“, – განაცხადა გიორგი კახიანმა.

**„ინტერპრესნიუსი“**

# უდელი მოურავი და დიდი გალაშქრება თბილისზე

## პოლიტიკური ნოველა

2020 წელი (ჩვენი წელთაღრიცხვით). ღვინობისთვის 28 რიცხვი. გურჯისტანის დამოუკიდებელი რესპუბლიკის მმართველობა აქვეყნებს უსტარს, სადაც სიტყვა-სიტყვით სწერია:

„ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომელიც საზოგადოებამ აუცილებლად უნდა იცოდეს – „ნაციონალურ მოძრაობას“, გარდა ოფიციალური საარჩევნო შტაბისა, გახსნილი აქვს ე.წ. რევოლუციური შტაბი კრიმინალ ვანო მერაბიშვილის ხელმძღვანელობით, რომლის ამოცანაც არის მოქალაქეების პროვოცირება, ძალადობის წახალისება და პოლიტიკური პროცესების რევოლუციური სცენარით განვითარება. ამ თვალსაზრისით, ისინი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ რამდენიმე რაიონზე – ესენია მარნეული, ბოლნისი, დმანისი, ბათუმი, ზუგდიდი და გლდანი“.

უსტარის გამოქვეყნებამ გურჯისტანში დაძაბულობა და ნერვიულობა გამოიწვია. როგორც მოგვიანებით კულუარებიდან გახდა ცნობილი, ადიგენის რაიონის სოფელ ზაზალოში დაბადებული და უდეში დავაჟკაცებული ვანო (უნო) მერაბისშვილი თბილისზე გამოლაშქრებას აპირებდა. მას დედაქალაქის აღებისა და ბიძინა ივანიშვილის სასახლის დაპატრონების სურვილი საპყრობილეში მჯდომიარობის პერიოდშივე გასჩენია და აჰა, მიეცა კიდევაც ხელსაყრელი მომენტი. სოლოლაკს უნდა მიადგეს, ალყა შემოარტყას, ცაში ფრინველი გაჟუჟოს, მიწაზე კიდე ყველა სულიერი.

### დიდი ლაშქრობა

უდელმა მოურავმა „ნაცთა“ ლაშქარი თრიალეთისა და სამსარის ქედების გაყოლებაზე შეჰყარა. თვალუწვდენელ ველზე ჯგროებად შეკრებილიყვნენ რუსთაველნი, ბოლნისელნი, გარდაბნელნი, დმანისელნი, თეთრწყაროელნი, მარნეულელნი, წალკელნი, ბათუმელნი, ზუგდიდელნი. მათ ხელში საოცრად ლაპლაპებდა „ტაჩილაზე“ ალესილი თოხები, ცელები, ბარები და „ლაფატკები“. მეთაურებს კი ჯაჭვის პერანგების ქვემოდან შურდულებიც („ლაგატკები“) მოუჩანდათ.

ტრიალ მინდორზე გადაჭიმულ კარავში დიდკაცნი შეკრებილიყვნენ და რევოლუციურ გეგმაზე ბჭობდნენ, ანუ იმაზედ, თუ როგორი სტრატეგიული მეთოდებით უნდა დაეპყროთ გურჯისტანის დედაქალაქი. უდელი მოურავი განიერ მაგიდაზე გადაშლილ რუკას ჩასჩერებოდა და თან ბრძანებებს იძლეოდა.

– დავით კირკიტაისძევ, შენი მებრძოლებით გარდაბანში დაბანაკდები, მერე დაეშვები იორმუღანლოსკენ მიმავალ ხევ-ხუვებში, გადახვალ ტრასაზე და შემოტრიალდები თბილისისკენ.

– მოურავო, იორმუღანლომდე შორია, ხევ-ხუვებში გავლაც რთულია, იქნებ „ჩერეზ“ რუსთავი წავსულიყავით? – აიჩეჩა მხრები კირკიტაისძემ.

– „ჩერეზ“ რუსთავი კობა ხაბაზნაური წავა, – გადააქნია თავი მოურავმა.

– სხვათა შორის, იქამდე სურსათ-სანოვაგე არ გვეყოფა, – დანებებას არ აპირებდა კირკიტაისძე.

– იორმუღანლოში მეყველეები დაგხვდებიან, ხუთი გუდა ყველი ჩვენზე იყოსო. ყანდაურაში ჩემი ძმაკაცი ატრაწუნე დედას პურებს დაგახვედრებთ!

– მაშინ, ჰო! – ამოიხვნეშა კირკიტაისძემ და განზე გაიწია.

– დიდო სარდალო, ძვირფასო ღრიღოლ ვაშლასძევ, თქვენ გეკისრებათ მეტად საპასუხისმგებლო მისია, გაბარებთ ყველაზე სტრატეგიულ და რთულ უბანს! – გასწორდა წელში მოურავი.

– ჰმ, ჩემთვის სირთულე არ არსებობს, ყველა უბანი მკიდია, – ჩაიცინა ვაშლასძემ.

– დიახ, ვიცი და ამიტომაც გიშვებთ ამ მიმართულებით. ესე იგი, გარდაბნიდან ჩახვალთ თეკალში, გადახვალთ სადახლოში, შემოუყვებით მარნეულისკენ, გადაუხვევთ თეთრწყაროსკენ, დეეშვებით წალკაში, გადმოუხვევთ მანგლისისკენ და გამოჰქანდებით პირდაპირ მთაწმინდაზე.

– კი, მაგრამ მარნეულიდან მშვენიერი გზა ჩადის სოლოლაკში, თანაც უფრო მოკლეა, რატომ უნდა ჩავიდე თეთრწყაროსა და წალკაში? – მოიფშვნიტა ხელები ვაშლასძემ.

– მაგ გზით ხაბულ დილარიანი წავა. როცა მან ზვიადი მიატოვა, სწორედ მაგ მიმართულებით გაიქცა და ვთვლი, რომ დიდი გამოცდილება აქვს... ჰო, თეთრწყაროში რომ ჩახვალთ, წალკის გადასახვევთან მეკარტოფილეები დაგხვდებიან, ხუთი „მეშოკი“ კარტოფილი ჩვენზე იყოსო.

– დიდო მოურავო, ესე იგი, მე „ჩერეზ“ რუსთავი შევდივარ დედაქალაქში? – წამოიჭალყვა კობა ხაბაზნაური.

– მაიცადეთ, ტოოო, მე, ფაქტობრივ პრემიერს ჯარის გარეშე მტოვებთ?! – იყვირა მოურავის ტახტზე გადაშხლართულმა ჯუნიორ ვაშლასძემ.

კარავში დუმილი ჩამოწვა, დიდმა კაცებმა ერთმანეთს ეჭვის თვალით გადახედეს. მათ მზერაში ირონიაც შეინიშნებოდა და შიშიც.

– ა, ჰო, შენ, ჩემო დიდო სარდალო... შენ მე მარჯვენა ხელად მჭირდები, როდესაც ფრონტზე გავალთ, ჭოგრიტს მომაწვდი ხოლმე, – სცადა სიტუაციის განმუხტვა მოურავმა.

– რა ჭოგრიტი, ტოოო? – წამოიხვეტა ჯუნიორი.

– ჰო, სხვათა შორის... მე ვაპირებ სპეცოპერაციის ჩატარებას კოდური სახელწოდებით „ორი გვამი“. იქაც მჭირდები ცივი წყლის მომწოდებლად. არ დაგავიწყდეს, თვით ნაპოლეონსაც ჰყავდა ასეთი ღვაწლმოსილი თანაშემწეები, საპყრობილეში წავიკითხე ესა. შენ იქნები ჩემი მარჯვენა ხელი, ხოლო მაჭუტაისძე იქნება მარცხენა ხელი.

– შენა, ბიჭო, ხო არაფერი გეშლება? მე ვარ დავით აღმაშენებელი! – ოფიციალურად განაცხადა ვაშლასძემ.

– ვიცი, საპყრობილეში წავიკითხე! – აყვირდა მოურავიც.

– 1089 წელსა, როდესაც 16 წლისა ტახტზე ავედი, გურჯისტანი იყო გაუბედურებული ბიძინა ივანაურის მიერ.

– ჰო, ვიცი, საპყრობილეში წავიკითხე ეგეცა!

– მამიჩემ უფროს ჯუნიორის სულსა ვფიცავარ, ქვეყანას არბევდნენ კალასძეები, გახარაიები, ღარიბაულები, ივანაურები... მაგათი ბიძაშვილები, მამიდაშვილები, სიძეები, მულები, მულთა ქმრები, დეიდაშვილები!

– ვიცი-მეთქი!

– მამიჩემის ძალაუფლება ლიხის ქედს იქით აღარა ვრცელდებოდა. ბოლო-ბოლო, გელათი ამიშენებია... როგორ მწარედ მახსოვს, ერთხელ გადმოვვარდი, სიკვდილს ძლივს გადავურჩი, ავშანდაძეებმა მიმკურნალეს!

– კარგი, დამშვიდდი!

– გაიგეთ, მე ვარ უდიდესი სტრატეგოსი ნიკოფსიიდან დარუბანდამდე!

– ჰო-მეთქი!

– ოკეანის გაღმა ჯო ბაიდენია, ოკეანის გამოღმა კიდე მე!

– ჰოდა, ამიტომაც გნიშნავ მეჭოგრიტეთუხუცესად!

– აეგრე გეთქვა, რააა, უხუცესობა სხვა საკითხია!

– აბა, რა გეგონა?

– მეგონა, ერთი ცალი ჭოგრიტი უნდა მეტარებინა ამხელა კაცსა!

დიდმა კაცებმა ისევ გადახედეს ერთმანეთს. ყველა კმაყოფილი ჩანდა. უდელ მოურავს მაჭუტაისძე და ვაშლასძე ამოუდგნენ აქეთ-იქიდამ, პირველს წყალი მოეგდო ტიკჭორით ზურგზე, ხოლო მეორეს – ჭოგრიტებით სავსე „მეშოკი“. უცებ კარავში დამინტაჟებული ეკრანი ჩაირთო, სადაც წმინდა მიხა გამოისახა. დიდი კაცები მუხლებზე დაეცნენ. მოურავს სახეზე ალმური წაჰკიდებოდა. დარცხვენილმა ტურისებურად გააპარა თვალი ეკრანისკენ და ამოილუღლუღა:

– დიდება შენს გამობრწყინებას, შენო ბრწყინვალებავ.

– ხხხიიიიხ! – აღმოხდა ხორხისმიერად წმინდანს.

– ბბბუუაბაბაბაბა! – მიუგო მოურავმა.

– ჩემო სარდლებო, ჩემო საყვარლებო, მზიას და ზეზვას შთამომავლებო, მზად ხართ, დასცხოთ მაგ წუნკლებსა?!

– ბბბუუაბაბაბაბაბა! – გაისმა ერთხმად კარავში.

– კიდევ ერთხელ ვაფრთხილებ ივანაურს, რომელიც მარტოა დარჩენილი და როგორც მითხრეს, გვირაბიც გაუთხრია გასაქცევად!

– მართლა?! – წამოიძახა მაჭუტაისძემ.

– ე, ბიჭო, დაოკდი, წმინდანის ნათქვამში ეჭვის შეტანა სად გაგონილა? – მოქაჩა ჯაჭვის პერანგზე ხაბაზნაურმა.

– ჰოდა, იმას ვამბობდი... ვაფრთხილებ ივანაურს: წადი, გასწი, გამეცალე, ნება იბოძე, როგორც ხელისუფლება გადმოგაბარე, ისევ გადმომაბარე. თუმცა... შენ არ ხარ ის კაცი, გადმობარებული უკან გადმომაბარო, ამიტომ რაც დეგემართება, შენსავე თავს უნდა დააბრალო!

– ურაააააა!!! – დასჭექა ხაბულ დილარიანმა.

– ურა კი არა, ვაშააააა!!! – გამოასწორა ღრიღოლმა.

– ჩემო ერთგულო ჯარისკაცებო, დამილოცნიხართ გველეშაპთან უთანასწორო ბრძოლაში. როდესაც სოლოლაკის სასახლეს აიღებთ, გვირაბი ჩახერგეთ, ივანაურს იქ რვაასი მილიონი დოლარი აქვს გადამალული. თუ გაგექცეთ, გაუშვით, ირბინოს!

– ბბბუუაბაბაბაბაბააააა! – დასჭექეს კარავში და დადგა კიდევაც გურჯისტანის გაბრწყინების მომენტი.

* * *

ოფიციალურად გამოცემული გრაგნილის თანახმად: თრიალეთისა და სამსარის ქედთა ძირებიდან გასული არც ერთი დაჯგუფება დანიშნულების ადგილამდე არ მისულა. სოფელ ზაზალოსა და უდეში მერაბისშვილის მეზობლები ამბობენ, რაც ხელიდან წავიდა, მას მერე აღარ გვინახავსო, მაგას კუკიაზე აქვს კაი სახლი, შეიძლება იქ იმალებოდესო. იორმუღანლოელი მეყველეები იძახიან, რამდენიმე დაძონძილმა ჩამოიარა, ხუთი გუდა ყველი მოიკიდეს და წავიდნენო. ყანდაურელ ატრაწუნეს თქმით, შოთების წასაღებად არავინ მისულა. როგორც წალკელი მეკარტოფილეები იტყობინებიან, ულვაშიან კაცს ქოშინით ჩამოურბენია, ერთი „მეშოკი“ კარტოფილი მოუკიდებია და თავქვე დაშვებულა, თან ყვიროდა, შკლიაროვ, სადა ხარ, სად დამეკარგეო? მიმდინარეობს გამოძიება.

ნოველა რეალურ
ფაქტებზე დაყრდნობით
დაწერა

გელა ზედელაშვილმა
555 48 48 61



# დონალდ ტრამპი: კატორღელივით ვმუშაობ, რომ გავიმარჯვო!

## „თუ ბაიდენი გახდება პრეზიდენტი გაანადგურებს აშშ-ს ეკონომიკას, ხოლო მე გავანადგურებ ვერაგ ვირუსს“



ფინიშს მიუახლოვდა, მაგრამ ხაზი არ გადაუკვეთია წლევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებს ამერიკის შეერთებულ შტატებში მართალია, არჩევნები ჯერ არ დასრულებულა, რადგან მთავარი მოვლენები სწორედ ახლა, ხმის დათვლის პერიოდში დაიწყება. თუმცა, 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ისტორიაში სამუდამოდ დაიდებს ადგილს, თავისი ყველაზე ბინძური, დაუნდობელი წინასაარჩევნო კამპანიით, რომლის მსგავსი ჯერ არ ყოფილა აშშ-ის არსებობის პერიოდში.



ხმის მიცემის პროცედურა, არჩევნების ძირითად თარიღამდე 10 დღით ადრე დაიწყო. მოსახლეობის აქტივობამ თავად პრეზიდენტი დონალდ ტრამპიც გააოცა. წინასწარი ხმის მიცემის უფლებით 100 მილიონამდე ამომრჩეველმა ისარგებლა. პოლიტოლოგების შეფასებით, ძირითადად დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის, ჯო ბაიდენის მომხრეები აქტიურობდნენ. რესპუბლიკელების მხარდამჭერებმა 3 ნოემბრისთვის გადადეს საარჩევნო უბნებზე მისვლა. ტრადიციულად, დემოკრატები ხმის მიცემას, რესპუბლიკელებისგან განსხვავებით ფოსტის მეშვეობით ამჯობინებენ. მსგავსი პროცედურის წინააღმდეგია დონალდ ტრამპი. მისი აზრით საფოსტო გზავნილებით ხმის მიცემა არჩევნების გაყალბების საშუალებას აძლევს დემოკრატებს.

სიმშვიდე არ ყოფილა გასულ კვირას აშშ-ი, განსაკუთრებით ფილადელფიაში, სადაც იფეთქა დარბევა-არეულობამ. მიზეზი კვლავ პოლიციის მხრიდან აფროამერიკელის მკვლელობა გახდა. ახალგაზრდა მამაკაცი გარშემომყოფებს დანით ემუქრებოდა. გამოძახებაზე მისულ პოლიციელებს არ დაემორჩილა, დანა მოუღერა, მათ უფლება-მოსილებას გადააჭარბეს და 14 ტყვია დაახალეს. შედეგად იგი დაიღუპა. როგორც შემდგომ გაირკვა, ახალგაზრდას ფსიქიკური დაავადების პრობლემები ჰქონდა.

საპროტესტო აქცია ფილადელფიაში თავდაპირველად მშვიდობიანი იყო, მაგრამ დაღამების შემდეგ დარბევებში გადაიზარდა. აქციის მონაწილეები და სხვა გაურკვეველი სუბიექტები შეესივნენ მაღაზიებს და დაიწყეს ძარცვა. მიჰქონდათ ყველაფერი — ტელევიზორები, მაცივრები... მოკლედ მიჰქონდათ ყველაფერი რაც ხელთ მოხვდებოდათ. ნივთების წასაღებად ავტომობილების გარდა ველოსიპედებსაც იყენებდნენ. რაც ვერ მიჰქონდათ ამტვრევდნენ. ობიექტების დაცვის თანამშრომლები უმოქმედოდ იყვნენ, ეშინოდათ გაშმაგებული ხალხის.

ვითარება ფილადელფიაში უკიდურესად დაიძაბა, ადგილობრივი პოლიცია ველარ უმკლავდებოდა ამბოხებულებს. აუცილებელი გახდა შტატში კომენდატის საათის გამოცხადება და ფედერალური ჯარის ნაწილის შეყვანა. შტატის დემოკრატ გუბერნატორს ისეთი პოზიცია ეკავა, თითქოს არაფერი ხდებოდა, იმ დროს, როდესაც 50-ზე მეტი პოლიციელი დაზარალდა. ამის გარდა ფილადელფიაში სამედიცინო ცენტრიც დაარბიეს რომლის აღდგენაც ფაქტობრივად შეუძლებელია. „ყველა ქალაქში გადავბუგავთ პოლიციის შენობებს“ — სკანდირებდნენ პროტესტანტები. ბრუკლინში ერთ-ერთ ბანკის შენობაზე დატოვეს წარწერა დიდი ასოებით: „სიკვდილი ამერიკას“... მომხდარში ტრამპი და ბაიდენი ერთმანეთს ადანაშაულებენ. ამერიკელი მიმომხილველები შავი იუმორით ხუმრობენ მოსახლეობის ნაწილი აფროამერიკელების უფლებების დაცვას და სავაჭრო ობიექტების ძარცვას ერთმანეთს წარმატებით უთავსებენ, მოროდიორობა შემოსავლის ძირითად წყაროდ გაიხადესო. კომენდატის საათმა გამოიღო შედეგი — შტატში სიწყნარემ დაისადგურა.

„... კატორღელივით ვმუშაობ, რათა გავიმარჯვო“ — განუცხადა ჟურნალისტებს დონალდ ტრამპმა. მართლაც, დღეში 2–3 ქალაქში ასწრებდა ამომრჩევლებთან შეხვედრას. გასულ კვირას ორ დღეში ათი მიტინგი ჩაატარა. საყოველთაო გაოცებას იწვევს დონალდ ტრამპის კარგ ფიზიკურ ფორმაში ყოფნა, განსაკუთრებით გადატანილი „კოვიდის“ შემდეგ. ამით თავად ტრამპიც ამაყობს.

წინასაარჩევნოდ დონალდ ტრამპმა ყველა მერყევი შტატი მოიარა, შედეგი დღეს-ხვალ, ხმების დათვლის შემდეგ გამოჩნდება. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ტრამპი ფლორიდის შტატს ანიჭებს, სადაც არის დარეგისტრირებული და ხმა „კარგ ბიჭს, რომლის გვარი ტრამპია“ მისცა. ტროპიკული სიცხის მიუხედავად ფლორიდაში ტრამპის მხარდამჭერი ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში დონალდ ტრამპის მეუღლე მელანია პირველად გამოვიდა მიტინგზე მეუღლის მხარდასაჭერად. (2016 წელს საერთოდაც არ გამოჩენილა). თავისთავად, მელანიამ დონალდის მხარდაჭერისკენ მოუწოდა შეკრებილებს. „... იგი პირდაპირი, პატიოსანი, შრომისმოყვარე ადამიანია. ტყუილი დაპირებები არ უყვარს, ამიტომ ხმა მიეცით დონალდ ტრამპს“— თქვა მელანიამ. საზოგადოება საკმაოდ თბილად შეხვდა მელანიას. ასეა, ზოგს ტრამპი მოსწონს, უმრავლესობას კი მისი მეუღლე. ასევე აქტიურად უჭერს მხარს მამას შვილი ივანკა.

აშშ-ი ჯერ კიდევ ელოდებიან პოლიტიკურ ქარიშხალს. ორივე კანდიდატი საკუთარ გამარჯვებაში მყარად არის დარწმუნებული. ჯო ბაიდენს წინასაარჩევნო აგიტაციის ბოლო ორ კვირაში აქტიურად ეხმარებოდა მისი ყოფილა შეფი ბარაკ ობამა. ექსპერტების შეფასებით, ობამამ ბაიდენს ბევრი ვერაფერი შესძინა. ამის გარდა, არ განელებულა სკანდალი, რაშიც ბაიდენების ოჯახი, კერძოდ ჯოს შვილი ხანტერი გაეხვა. ფინანსური მაქინაციების გარდა მას პედოფილიაშიც ადანაშაულებენ. პოლიტოლოგების განცხადებით, ჯო ბაიდენის ნებისმიერ თანამდებობაზე ყოფნის შემთხვევაში, გავრცელებული ფაქტები სრულიად საკმარისი იქნებოდა მისი იმპიჩმენტისთვის. თუმცა, დემოკრატები აქტიურად უჭერენ მხარს თანაპარტიელს. გასულ კვირას მსოფლიო გააოცა კონგრესის სპიკერმა, დემოკრატმა ნენსი პელოსიმ თავისი განცხადებით: „... რა შედეგითაც არ უნდა დამთავრდეს არჩევნები, პრეზიდენტი ჯო ბაიდენი იქნება“. რას ემსახურება და რა ჰქონდა მხედველობაში ასაკოვან სპიკერს დღემდე გამოცანად რჩება.





კონკურენტზე კომპრომატების გარდა, დონალდ ტრამპს პოლიტიკური უპირატესობა აქვს. დემოკრატების მხარდამჭერების დიდი ნაწილი ღიად აცხადებს, რომ ხმას დონალდ ტრამპს მისცემენ, რადგან დემოკრატებმა იმედები გაუცრუეს. ამის გარდა, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით მესამე კვარტალში აშშ-ი მნიშვნელოვანი ეკონომიკური“... „თუ ბაიდენი გახდება პრეზიდენტი, გაანადგურებს აშშ-ს ეკონომიკას, ხოლო მე გავანადგურებ ვერაგ ვირუსს“. ყოველივე ამის მიუხედავად, გამოკითხვებით ძირითადად არჩევნების დაწყებამდე ბაიდენი რამდენიმე პუნქტით უსწრებდა ტრამპს. ასე იყო 2016 წელსაც, გამოკითხვებით, ჰილარი კლინტონს საკმაოდ დიდი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ტრამპმა გაიმარჯვა. ამიტომაც წლეულს პოლიტოლოგები ყოველგვარი პროგნოზებისგან თავს იკავებდნენ.




პოლიტიკური ჭიდილის გარდა, არჩევნების დასრულების შემდეგ ფიზიკურ დაპირისპირებასაც ელოდებიან კანდიდატების მომხრეებს შორის. დიდი ქალაქების მოსახლეობამ, ვისაც ჰქონდა შესაძლებლობა პერიფერიებს შეაფარა თავი. მაღაზიების თუ სხვა კომერციული ობიექტების მეპატრონეებმა ვიტრინები აფიცრეს, რათა არეულობის შემთხვევაში ნაკლებად დაზარალდნენ. ამიტომაც გაიზარდა ფასები ხე-ტყის და სხვა საამშენებლო მასალებზე. განსაკუთრებით ფრთხილობენ იარაღის მაღაზიების მეპატრონეები, რომლებმაც გასაყიდი საქონელი საცავებში გადაიტანეს. საფრთხეს წარმოადგენს ასევე ორივე პარტიის მხარდამჭერი არსებული სხვადასხვა შეიარაღებული ფორმირებები. აღარაფერს ამბობენ მოსახლეობაში არსებულ დიდძალ იარაღზე. ამიტომაც მიიღეს ვაშინგტონში უპრეცედენტოდ გაძლიერებული უსაფრთხოების ზომები — არჩევნების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე თეთრი სახლი მართლაც ციხე-სიმაგრეს დაამსგავსეს.

თუ გადავხედავთ უახლეს წარსულს, დონალდ ტრამპის პრეზიდენტად მოღვაწეობა მარტივი სულაც არ იყო. ჯერ კიდევ 2016 წლის მიწურულს, როდესაც ტრამპი თეთრ სახლში შესული არ იყო, ამერიკელი ჟურნალისტების გადმოცემით დემოკრატებმა შექმნეს მის წინააღმდეგ მოსაწყობი იმპიჩმენტის შტაბი, რისთვისაც საამისოდ გამოიყენებდნენ ყველა საშუალებას. მართლაც, მძიმე ბრძოლაში გაატარა დონალდ ტრამპმა ოთხი წელი, თუმცა ვერაფერი დააკლეს. აშშ-ის ძირითადი, წამყვანი პრესის 90% მის წინააღმდეგ მუშაობდა, რაც არ უნდა გაეკეთებინა კარგს არაფერს ამბობდნენ, დუმდნენ, აშუქებდნენ მხოლოდ უარყოფითს ამიტომაც არის დონალდ ტრამპი ოპტიმისტურად განწყობილი, აქვს გამარჯვების იმედი. შედეგების გამოცხადების, გამარჯვების შემდეგ ტრამპი ბანკეტის გამართვას დაპირდა მომხრეებს, ბაიდენი კონცერტის. დღეს-ხვალ ერთად ვნახავთ, როგორ და რით დასრულდება საპრეზიდენტო არჩევნები — ჩატარდება კონცერტი თუ ბანკეტი გაიმართება.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ნაცმოძრაობა - მკვლელების დესანტი ჯოჯოხეთიდან

(დასასრული, დასაწყისი. იხ. „ს.გ“ N30-34)







არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო ოპოზიცია არ ეთანხმება ცესკოს მონაცემებს და მიაჩნია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მათ ხმები მოპარა. არჩევნების შედეგებმა „ქართული ოცნების“ამომრჩევლებიც გააღიზიანა ნაწილი კი კმაყოფილია. აი, რას წერს არჩევნების შედეგით უკმაყოფილო სოციალური ქსელის ერთ-ერთი მომხმარებელი „ნეტა ვიცოდე რა გიხარიათ. ის, რომ მკვდარი ნაცისტური პარტია გავაცოცხლეთ და მათი გაქცეული წევრები უკან მოვაბრუნეთ? ის, რომ გასასამართლებელი მკვლელები და ჯალათები პარლამენტში დავსვით და ხმის უფლება მივეცით? ის, რომ ყველა უწყებაში შევუშვით და საჯარო დაწესებულებები ნაცებით გავავსეთ? ის, რომ ხალხისთვის წართმეული ბიზნესები ხელუხლებელი დავუტოვეთ და იქიდან აღებული ფულით ისევ ჩვენ გვებრძვიან? ის, რომ უმაღლესი სასწავლებლებიც ასევე დავუტოვეთ და იქ ტვინგამორეცხილი ახალგაზრდები ახლა ნაცებს უმაგრებენ პოზიციებს?ის, რომ ერთი ტელევიზიიდან ხუთი შევუქმენით და ეს ტელევიზიები ასევე წარმატებით მუშაობენ ქვეყნის დაქცევაზე? ის, რომ უკვე მესამე მოწვევის პარლამენტი ავირჩიეთ და ყველა ჯერზე ნაცების რაოდენობა იმატებს? თუ ის, რომ ახლა ქუჩაში ყრიან, ბღავიან, ჯღავიან. ყველაფერს ლეწავენ და ქვეყნის ამობრუნებით იმუქრებიან?“. დიახ, სამწუხაროა, რომ დღეს სისხლის მსმელებით, ქვეყნის დამაქცევრებით, მკვლელებით, ნარკომანებით, ყველა უბედურების მომტანი გარეწრებით დაკომპლექტებული პარტია ბედავს და რუსთაველზე სატანურ რიტუალს „შაბაშს“ გვიწყობს და თან „გადატრიალებას“ გვიანონსებს. ეს ის სისხლს მოწყურებული ნაცპარტიააა, 2012 წლის არჩევნებზე ათასობით დამკვირვებელს მისთვის ოფიციალურად გაცემულ ბეჯს სპეციალურად, რომ არ აძლევდა, ოპოზიციის წარმომადგენლებს უბნებზე დაკვირვების საშუალებას და გადაღებას უკრძალავდა, დამკვირვებელ ქალბატონს ბეისბოლის ჯოხით ფეხებს რომ უმტვრევდა, როცა ათობით მანქურთი 9 შვილის მამას – დამკვირვებელ მღვდელს ურტყამდა, მათ მიერ ნაქები ნაცსპეცნაზი ყუთებს იპარავდა, და რეზინის ტყვიებს ესვროდა მოსახლეობას, მამაოს მშვიდობიანი პროტესტისათვის იარაღს ადებდნენ, და არჩევნების წინა პერიოდში მოწინააღმდეგეებს ყველა არაკონინიერი მეთოდიც უსწორდებოდნენ. 2008 თუ 2012 წლის არჩევნებზე დარღვევის და უთანაბრობის ათასობით ფაქტი გახლდათ დაფიქსირებული, გვახსოვს, როგორ წაართვეს მთავარ კონკურენტს მოქალაქეობა და არ მისცეს, თან მილიონობით ლარი უკანონოდ წაგლიჯეს და თავისი ბინძური კამპანია აფინანსეს, ათასობით ადამიანს უკანონოდ და პოლიტიკური საფუძვლით ყადაღა დაადეს და იმ ციხის ვიდეოებით გვანახებდნენ, რა გველოდებოდა, თუ მათი ნების და სურვილის წინააღმდეგ წავიდოდით, გვახსოვს, ლაფანყურში მათ მიერ მოწყობილი სისხლიანი ტრაგედია, მილიონზე მეტ სამშობლოდან წასულ ადამიანს ფაქტიურად მოქალაქეობა აჰყარეს და უუფლებოდ დატოვეს, გვახსოვს, როგორ ძალადობდნენ ქალებზე და ბავშვებზე, როგორ იგონებდნენ აბსურდულ ფაბრიკაციებს, როცა ხან რუსის დამქაშები ვიყავით თურმე და ხან – კანონიერი ქურდების ნატრულნი, არჩევნებზე არცერთი ბანერი არ გვაღირსეს, მხოლოდ 60 დღით დაუშვეს თავისუფალი მედია, რომ ისევ გებელსის პროპაგანდაში და გაფერადებულ ჯოჯოხეთში შევებრუნებინეთ. რა დაგვავიწყებს რამდენი ადამიანები დაიჭირეს და დააშინეს სატელიტური თეფშების დამონტაჟების გამო, – ჟურნალისტების ზონდერბრიგადებიც შექმნეს, ყველაფერი იკადრეს, რაც საქართველოში არასდროს არავის უკადრია, სწორედ ამ უტიფრების ბანდა ყმუის „ჩაგვრაზე“და „გაყალბებაზე“. თუმცა კონკრეტულ ერთ ფაქტსაც ვერ ასახელებენ... მწარედ გვახსოვს, 2012 წელს „ქართული ოცნების“ მომხრეების ნაცხელისუფლების მიერ რეპრესიული ნაბიჯების მთელი სერიის შესახებ, მათ შორის კომპიუტერული კიბერშეტევის შესახებ, რომელმაც მოიცვა არა მარტო „ქართული ოცნების“ ადგილობრივი აქტივისტები, არამედ ამერიკელი იურისტები, ლობისტები და უსაფრთხოების მრჩევლები, რომლებიც „ქართული ოცნებისათვის“ მუშაობდნენ. კიბერშეტევის შესახებ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური პირები საქმის კურსში ჩააყენა 2012 წ. 7 სექტემბერს თედო ჯაფარიძემ, საქართველოს ყოფილმა ელჩმა ვაშინგტონში და ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი გუნდის სხვა წევრებმა. ჯაფარიძემ ბრალი დასდო საქართველოს ხელისუფლებას, რომელმაც „საარჩევნო კამპანია გადააქცია ომად ‘სახელმწიფოსა’და ‘სახელმწიფოს მტრებს’ შორის“. სპეციალისტებმა და გამომძიებლებმა იპოვეს 66 ტიპის ვირუსი და სპამი ივანიშვილის, მისი ოჯახის წევრებისა და მრჩეველთა მიერ გამოყენებულ ხუთ კომპიუტერში. აქედან კი ვირუსები მოდებული იყო დაახლოებით 50 სხვა კომპიუტერზე. ვირუსული პროგრამები საკმაოდ ჭკვიანურად იყო მოფიქრებული: მათ შეეძლოთ ჩაერთოთ კომპიუტერის კამერა და მიკროფონები, და მოეხდინათ ეკრანიდან „სკრინშოტების“ ჩაწერა ყოველ 10 წამში, რაც საშუალებას იძლეოდა ჩაწერილიყო მნიშვნელოვანი გასაღებები და კოდური სიტყვები, განუცხადეს სახელმწიფო დეპარტამენტს. მაგალითად, ერთი ასეთი „ეკრანის ჩაჭერა“, აფიქსირებდა ივანიშვილის საბანკო ინვოისს „ნეიშენალ სტრატეგიზ“ კომპანიისადმი, რომელიც ვაშინგტონში არსებული უსაფრთხოების მრჩეველთა ფირმაა. მეორე იყო ივანიშვილის მიმართ ვაშინგტონშივე არსებული კომპანია „პატტონ ბოგზის“ ადვოკატის მესიჯი. ეს ფირმა ივანიშვილის ლობისტური საქმიანობის წარმართველი კომპანია გახლდათ. კიბერშეტევა აშკარად გასცდა თავიდან დაინფიცირებულ ინდივიდუალურ კომპიუტერებს. ჯაფარიძის გუნდმა განაცხადა, რომ გამომძიებლებმა აღმოაჩინეს მოწყობილობები, რომლებსაც შეუძლიათ მონაცემების დაფიქსირება და გადაცემა, ასევე ვირუსების გავრცელება, და ეს მოწყობილობები იყო დაინსტალირებული რამდენიმე ქართულ ინტერნეტ-პროვაიდერის აპარატურაში. როგორც ქართულმა ოპოზიციურმა მოძრაობამ განაცხადა, ასეთი მაღალი დონის მოწყობილობის და მათი ასეთ წერტილებში გამოყენება იმის მტკიცებულებაა, რომ სწორედ „სახელმწიფო უშიშროების და დაზვერვის სამსახურები ახორციელებდნენ პოლიტიკური ოპოზიციის თვალთვალის ოპერაციას“, ნათქვამია შეხვედრის ამსახველ დოკუმენტში. 2012 წლის აგვისტოში ევროპის საბჭომ გააკეთა განცხადება, რომლითაც გააკრიტიკა მთავრობის მიერ საარჩევნო პროცესისთვის შეგროვილი შემოწირულობების ჩამორთმევის კამპანია, როგორც “იარაღი, რათა გაანადგუროს დემოკრატიული ოპოზიცია, და რომლის ძირითადი სამიზნე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებია.“ აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ ჰალსტუხლოღნია მიხეილის დემოკრატიით არც მანამდე იყო აღფრთოვანებული საერთაშორისო საზოგადოება. 2008 წლის „საერთაშორის დამკვირვებლების აზრით, 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები უმრავლეს შემთხვევაში შეესაბამებოდა ეუთოს დემოკრატიული არჩევნების სულისკვეთებას. თუმცა, იყო მნიშვნელოვანი პრობლემებიც, მათ შორის დაშინების და ამომრჩევლებზე ზეწოლის ფართოდ გავრცელებული მცდელობები, ხმათა არასწორი დათვლა და დაჯამება, და ხარვეზები საჩივრებისა და განაცხადების განხილვის პროცესში. ეს და სხვა პრობლემები ასევე ლაქად დააჩნდა 2008 წლის მაისის არჩევნებსაც, რომელიც ეუთოს დამკვირვებლებმა არათანაბარ და საერთაშორისო სტანდარტებთან არასრული შესაბამისობის არჩევნებად ჩათვალეს.“ (აშშ სახ. დეპარტამენტის 2011 წლის ანგარიში მსოფლიოში ადამიანის უფლებების შესახებ) სწორედ ეუთოს საბოლოო ანგარიშში წერია, რომ ამ არჩევნებში, სადაც მეორე ტურის არ-საჭიროება ხმათა მხოლოდ 3%-მა გადაწყვეტა, დამკვირვებელთა მიერ საარჩევნო უბნების 19%-ზე (!) ხმების ჩათვლა ჩაითვალა ცუდად ან ძალიან ცუდად! გაყალბებაზე „მოუბარ“უტიფარ, სისხლმოწყურებულ, ნაცლიდერებს ან ამნეზია აქვთ, ან მართლა დაშტერებულები არიან და არ ახსოვთ რამდენი სიბინძურე აქვთ ჩადენილი ხალხის და ქვეყნის წინაშე. სააკაშვილის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა ლადო ვარძელაშვილმა ოპოზიისთვის მხარდამჭერი სპორტსმენი, ძიუდოს ჩემპიონი ამბაკო ავალიანი მოატაცებინა თავის უკანონო ზონდერბრიგადას და 2 საათის განმავლობაში უკანონოდ დაპატიმრებული ჰყავდათ! ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა, ცინიკური ზეწოლა და დაშინება – აი, რა იარაღს იყენებდა სააკაშვილის სანაქებო მაფიოზი მინისტრი, რომელმაც ასე განუცხადა მოტაცებულ სპორტსმენს, ყველას ვინც ივანიშვილის მხარეზე გადავიდა, დავიჭერთ და ელექტროშოკით ვაწამებთო! ოღონდ ჯერ არჩევნები მოვიგოთ და მერე ამერიკელები რომ აღარ დაგვაკვირდებიან, მერე განახებთ სეირსო! – ამას ამბობდა 2008 წლის აგვისტოს ომში კურდღელივით დამფრთხალი და რუსი გენერლებისთვის მძღოლად დამდგარი მხდალი, რომელსაც თანამოქალაქეების დაშინებით სურდა საკუთარი სკამის და კრიმინალური სტატუსის შენარჩუნება. კონტროლის პალატის და სასამართლოს მიერ კოსმოსური სისწრაფით მიტანილი იქნა იერიში გლობალ ტვის სამაუწყებლო კომპანიაზე, რომელიც დაავალდებულეს, შეეწყვიტა სატელიტური ანტენების განთავსება და მოეხდინა დამონტაჟებული 11,000 ანტენის დემონტაჟი!, რითაც საქართველოს მოსახლეობის 75% ისევ დაბრმავებული და დაყრუებული დატოვეს სამთავრობო პროპაგანდის ამარა. ჩაიდინა რა ეს, ნაცხელისუფლებამ ღიად და ნათლად განუცხადა საქართვე-









# ნაცები და მათი განაყოფები რომ შეშლილები არიან



**პოლიტიკის ექსპერტი სოსო მანჯავიძე:**

**— ნაცები და მათი განაყოფები რომ შეშლილები არიან - გასაგებია, მაგრამ ამდენი ჩვენი თანამემამულე რომ გადაიყვანეს ჭკუიდან, ესაა მთავარი პრობლემა.**

**ამ არჩევნებში განსაკუთრებულად მაღალი იყო რეალობის მოდელირება საკუთარი პოლიტიკური ინტერესების მიხედვით.**

**უსინდისობასთან შეჯვარებულმა ცრუპენტელობამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია.**

**საბოლოოდ ყველამ „გაიმარჯვა", მაგრამ ამ საქმეში, როგორც მოსალოდნელი იყო, ნაცები ლიდერობდნენ, თუმცა სხვებმაც კარგად გადაიღეს მათგან ეს მავნე ჩვევა და მუცლითმეზღაპრეობას „პოლიტიკურ ტექნოლოგიად" ასაღებენ.**

**გამოდიოდნენ გაუცნობიერებელ ეგზალტაციაში მყოფი მიშას მრევლის ყოფილი და ახლანდელი წევრები და ყველგან ვიგებთო, გაჰყვიროდნენ.**

**„მოგებული" ომი რომ იზეიმეს, ის მახსენდება „მოდელირებულ ქრონიკასთან" ერთად.**

**ყველა დაღალეს უკვე ამდენი უტიფრობით.**

**ამათ წაჯექ-უკუჯექობას უნდა გადაჰყვეს ქვეყანა? ამათ უაზრო ამბიციებს?**

**ყველა არჩევნები სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს როგორ უნდა ატარებდეს?!**

**„გეგმაც" გამოაცხადეს.**

**პერმანენტული აქციები, ბოიკოტი და არეულობა.**

**აბა, თქვენ იცით, ნაცებო, დააქციეთ ქვეყანა.**



ლოს მოსახლეობას: „თქვენ არ გაქვთ უფლება უყუროთ და უსმინოთ იმას, რასაც ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ! თქვენ უნდა უყუროთ და უსმინოთ მხოლოდ ჩვენს პროპაგანდას და სიცრუეს! ჩვენ არ დავუშვებთ, რომ თქვენ ინფორმირებულ ელექტორატად იქცეთ, რადგან მერე ჩვენ გაგვიჭირდება თქვენით მანიპულაცია!". თბილისის მერ გიგი უგულავასთან დაახლოებულმა სატრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელობამ აუკრძალა თბილისის მიკროავტობუსების მძღოლებს რადიოს მოსმენა, რადგან ისინი უპირატესად სწორედ ოპოზიციურ (უფრო ზუსტად – მთავრობის მიერ არაკონტროლირებულ) რადიოარხებს უსმენდნენ. რამდენიმე მძღოლი, რომელმაც ეს აკრძალვა დაარღვია, სამუშაოდან გაანთავისუფლეს. ათეულობით მილიონის მიმთვისებელი უგულავა დღესაც „გულაობს", უკმაყოფილოა არჩევნების შედეგით და უტიფრად ცდილობს ხელისუფლების სადავეებთან მოხვედრას. დიახ, ნაცელიტას ენატრება 30,000-მდე პატიმარი... ასეულათასობით პრობაციონერი, რომელთაც შეთითხნილი და აბსურდული ბრალდებების გამო აიძულებდნენ საპროცესო გარიგებაზე ხელი მოეწერათ და ბიუჯეტის სასარგებლოდ ფული გადაეხადათ, ნაცმართლმსაჯულება „მომგებიანი ბიზნესის" რელსებზე ყავდათ გადაყვანილი... ბიზნესის 90%-ის სამთავრობო წრეების მიერ კონტროლდებოდა, მოენატრათ, არაკონოტროლირებადი და ფარული ელიტური კორუფცია... გაუმჭვირვალე სამთავრობო ხარჯები, რომლებიც სახელისუფლებო ნუვორიშული ფანტაზიების და ფუტურისტული მეგა-პროექტების განსახორციელებლად იხარჯებოდა, იმ ქვეყანაში, სადაც 1,5 მილიონზე მეტი სიღარიბის ზღვარს ქვევით ცხოვრობდა და 2 მილიონზე მეტს საერთოდ დაზღვევა არ გააჩნდა... ქვეყნის და ხალხის ძარცვით გამდიდრებულ ნაცლიდერებს დაავიწყდათ, რა ვანდალურ-გარეწრული მეთოდებით ატარებდნენ არჩევნებს. ბიძინა ივანიშვილს ყველა ბრუნვაში რომ ახსენებენ 2012 წლის 12 ივნისს საქართველოს უსამართლო სასამართლომ (რომელმაც სუნთქვისშემკრელ 99.7%-ს მიაღწია ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის და პროკურატურის უპირობოდ დამორჩილების საქმეში) სააკაშვილის კონკურენტი ივანიშვილი, აბსურდული და ფალსიფიცირებული ბრალდების საფუძველზე დააჯარიმა ასტრონომიული თანხით – 148 მილიონი ლარით (91 მილიონი დოლარით!)! ეს გადაწყვეტილება მარიონეტმა მოსამართლემ სულ რადაც 15 წუთში მიიღო, ისე, რომ დაცვის მხარეს არც კი მოუსმინა! მანამდე კი ივანიშვილის მხარეს მხოლოდ 2 დღე მიეცა 600-გვერდიანი საბრალდებო დასკვნის გასაცნობად, რომელიც ივანიშვილის ადვოკატების განცხადებით სიგიჟე იყო, ფანტაზია და ფსიქოპათია ფაქტების ნაცვლად. ივანიშვილს მხოლოდ 7 დღე მისცეს იმისათვის, რომ ეს თანხა გადაეხადა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული „მართლმსაჯულება" მას საქართველოში და საზღვარგარეთ ქონების დაყადაღებით დაემუქრა და ეს ყველაფერი ხდებოდა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული მედიის მხრიდან აღფრთოვანების და ტაშისკვრის ფონზე ამ მედია საშუა-

გაერთიანებულმა ოპოზიციამ 27 მაისს თბილისში, თავისუფლების მოედანზე და რუსთაველის გამზირზე 120,000-ზე მეტი ადამიანი შეკრიბა ქართული ოცნების გაერთიანებული ოპოზიციური ბლოკის და მისი ლიდერის მხარდასაჭერად. 10 ივნისს მსგავსი დიდი მასა – 30,000-ზე მეტი ადამიანი შეიკრიბა გაერთიანებული ოპოზიციის მხარდასაჭერად საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქ ქუთაისში... არჩევნების შედეგებით „უკმაყოფილო" ხატია დეკანოიძე მთელი ღამის განმავლობაში მხარდჭერებთან ერთად რუსთაველის გამზირზე იმყოფებოდა. მისი თქმით, საქართველოში ამ არჩევნების მოპარვით, უკან უდიდესი ნაბიჯი გადაიდგა. "ამიტომ ადამიანების მიერ ნებისმიერი საშულებით პროტესტის გამოხატვა, ძალიან მნიშვნელოვანია. ვიდრე, ბოლო ადამიანი იქნება, ვიქნები აქ. 8 ნოემბერს დაგეგმილი გვაქვს ძალიან დიდი აქცია, რომელიც იქნება ერთიანი ოპოზიციური. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია შემოუერთდეს", – აღნიშნა მან. დიახ, დეკანოიძე წინ გადადგმულ ნაბიჯად მხოლოდ მიხეილის „ოცეულში"მოხვედრას თვლის და შემდეგ უკრაინიდან მის (და არამარტო) გამობუნძულებას. წლების წინ ვანოს მოდგილე და შემდეგ უკრაინაში გადაბარგებული ეკა ზღულა-



ლებების ურნალისტი „ჟურნალისტები" მონაწილეობდნენ ქუთაისში ოპოზიციური მასობრივი მიტინგის დროს დადგმულ ფალსიფიცირებულ სპექტაკლებში, როცა ცდილობდნენ მოსახლეობის დაჯერებას, რომ ქართული ოცნების ოპოზიციური მოძრაობის წევრები მოსახლეობისათვის მაცივრების, სარეცხი მანქანების და სხვა საჩუქრების გადაცემას და ამით მოსახლეობის მოსყიდვას ახდენდნენ. თუმცა შემდეგ დადასტურდა, რომ იმ ოჯახმა, რომელსაც ტელეკომპანია „რუსთავი2"-მა ქრთამის სახით საჩუქრების მიღება დააბრალა, სინამდვილეში თავად შეიძინა ელექტროტექნიკა, ხოლო რუსთავი2-ის „მოწმის" როლში სააკაშვილის პარტიის აქტივისტი იყო გამოყენებული! დაანონსებული „უთვალავი" ნაცმადიდებლის შეკრება ვერსდროს შეძლო აწ უკვე ნაცოპოზიციამ. მათი მრევლი ვერასდროს ასცდა ექვსიათას კაცს. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონებიდანაც მოერეკებოდნენ გაუგებრობაში მოხვედრილ, დაბნეულ „წევრებს". არადა მწარედ ემახსოვრებათ მათი ზეობის პერიოდში,

ძის შესახებ უკრაინა.რუ იუწყებოდა, რომ ბორისპოლის აეროპორტში უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ეკა ზღულაძე მაშინ დააკავეს, როცა ქვეყნიდან 4 მილიონი დოლარი უკანონოდ გაჰქონდა. ზღულაძის დაკავების შესახებ ინფორმაციას უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე ვიტალი ზახარჩენკო ავრცელებდა. „2 კვირის წინ ზღულაძე, რომელიც ფეხმძიმედაა საფრანგეთში მეუღლესთან მიემგზავრებოდა, საბაჟოზე მას ჩანთაში 4 მილიონი დოლარი აღმოუჩინეს"– წერდა ზახარჩენკო სოციალურ ქსელში. ზახარჩენკო ამტკიცებდა, რომ 4 საათიანი შეფერხების შემდეგ საქმეში უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი არსენ ავაკოვი ჩაერია და ზღულაძემ საფრანგეთში გამგზავრება შეძლო. მოგვიანებით უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის უფროს ვასილი გრუცაკს აღნიშნული თანხის წარმომავლობის გარკვევა დაევალა. ზახარჩენკო აცხადებდა, რომ ეს 4 მილიონი დოლარი იმ 14 მილიონის ნაწილი იყო, რომელიც შსს–ს რეფორმისთვის იყო განკუთვნილი. „იმის მაგივრად რომ ფული დანიშნულებისამებრ გამოეყენებინა ზღულაძემ ის მიითვისა"მილიონის ნაწილი იყო, რომელიც შსს–ს რეფორმისთვის იყო განკუთვნილი. „იმის მაგივრად რომ ფული დანიშნულებისამებრ გამოეყენებინა ზღულაძემ ის მიითვისა"– აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზღულაძე სწორედ იმ ევროპარლამენტარ რაფაელ გლუკსმანის მეუღლეა რომელსაც ხშირად „აღშფოთებს" კრიმინალ, მკვლელი რურუას გათავისუფლების საკითხი და მანამდე ხაზინის ქურდი უგულავას და ოქრუაშვილის ბედით იწვოდა. დიდი მიხეილის ყოფილი მრჩეველი და „მოდელირებული ქრონიკის" თანაავტორი რვა თვის წინ აცხადებდა, რომ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები არაფორმალური მმართველის გადაწყვეტილებების შედეგია და პოლიტიკური დევნა, რომელსაც „ქართული ოცნება" აწარმოებს, ხელს უშლის საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებაში. ანუ, რა გამოდის ევროკავშირთან დაახლოება კრიმინალების, მკვლელების, ხაზინის ქურდების და სხვა ელიტური გარეწრების ლივლივით და ხელშეუხებლობით ყოფილა შესაძლებელი...



**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# 31 ოქტომბერს ნაციონალები თვითონ აყალბებდნენ მონაცემებს



**სენსაციური ინფორმაცია: „ნაცმოძრაობამ“ 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში აპრობირებული ხრიკი გამოიყენა — საარჩევნო უბნებზე მიმაგრებული მათი წარმომადგენლები თვითონ აყალბებდნენ მონაცემებს, თვითონ ყრიდნენ ზედმეტ ბიულეტენებს ყუთებში, რომ ეს კანონდარღვევა მერე თვითონვე აღმოეჩინათ და განგაში აეტეხათ.**

**მოვუწოდებთ ცსკო-ს და „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელობას — გამოყავით კვალიფიციური სპეციალისტები და ობიექტურად გამოიძიეთ 31 ოქტომბერს მომხდარი ფაქტები.**

გთავაზობთ ინტერვიუს ადამიანთან, რომელსაც საარჩევნო სისტემაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ამასთან ერთად, ის თვითონაც მონაწილეობდა 31 ოქტომბრის არჩევნებში, როგორც დამკვირვებელი და, გამომდინარე აქედან, ბევრ საინტერესო ინფორმაციას ფლობს. ვითვალისწინებთ ჩვენი რესპონდენტის თხოვნას და მის ვინაობას არ ვასახელებთ.

„პირდაპირ ვიტყვი — 31 ოქტომბერს მომხდარი დარღვევები, საარჩევნო ბიულეტენებთან დაკავშირებით, ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ორგანიზებული დივერსია, რომ ხელოვნურად შეექმნათ არჩევნების გაყალბების იმიტაცია და ეს ყველაფერი „ქართული ოცნებისთვის“ დაებრალებინათ.



მსგავსი რამ ერთხელ უკვე გაკეთდა 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში, „ვარდების რევოლუციის“ წინ, როცა „მოქკავშირის“ ახალგაზრდულმა ჯგუფმა, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი ლიდერობდა და რომელშიც „ნაცმოძრაობის“ ახლანდელი წევრებიდან რამდენიმე ადამიანი მონაწილეობდა, თვითონვე აურდაურიეს საარჩევნო სიები, მონაცემთა ბაზა თავდაყირა დააყენეს, შეყარეს იქ მკვდარი სულები, მერე ეს დარღვევები თვითონვე „აღმოაჩინეს“ და საყოველთაო-სახალხო განგაში ატეხეს: შევარდნაძემ არჩევნები გააყალბაო, ყოველივე ამას კი „ვარდების რევოლუცია“ მოაყოლეს.

რაზეც მე ახლა ვლაპარაკობ და რაც მაშინ მოხდა, შესანიშნავად იცის სააკაშვილმა, მერაბიშვილმა, ბოკერიამ, უგულავამ, გოგორიშვილმა, ოქრუაშვილმა და კიდევ სხვებმა, რადგან ისინი თავად იყვნენ ავტორები იმ უტიფარი აფიორისა და თავადვე მონაწილეობდნენ მის განხორციელებაში.

იყო კიდევ ერთი ადამიანი, საარჩევნო მაქინაციების და მანიპულაციების დიდოსტატი, „ვარდების რევოლუციის“ მოსამზადებელი სამუშაოების მთავარი „მოზგი“ და ორგანიზატორი, რომელმაც უდიდეს წვლილი შეიტანა შევარდნაძის მოფამფალებული სისტემის ნგრევაში და სააკაშვილის კარიერულ აღმასვლაშიც.

მისმა თანამებრძოლებმა მას ეს დამსახურება იმით შეუფასეს, რომ დღეს ის ცოცხალი აღარ არის, ამიტომ მის სახელსა და გვარს არ დავასახელებ. ის ცოცხალი აღარ არის, მაგრამ დარჩა მისი გამოცდილება. ცოდნას და გამოცდილებას ნაზიარები კადრები, რომლებიც დღესაც აქტიურად მონაწილეობენ საარჩევნო პროცესებში და დიდ ზეგავლენას ახდენენ მის განვითარებაზე.

რაც შეეხება ოპოზიციის ამჟამინდელ განცხადებებს იმის შესახებ, რომ არჩევნები გაყალბდა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები მოიპარა, ქართველ ხალხს გამარჯვება წაართვეს, ეს არის აბსოლუტურად ბრიყვული და იდიოტური საქციელი, თუნდაც იმ კუთხით, რომ ასეთი განცხადებებით ოპოზიცია, ფაქტობრივად, საკუთარ თავსაც სდებს ბრალს და საკუთარ თავსაც ადანაშაულებს, რომ არჩევნების გაყალბებაში თვითონაც მიუძღვის ბრალი.

საქმე ის არის, რომ „ქართულ ოცნებას“ რაც არ უნდა მოენდომებინა, ოპოზიციის წარმომადგენელთა დახმარებისა და მათთან თანამშრომლობის გარეშე არც ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრა შეეძლო, არც ოქმების გადასწორება და გადაკეთება, არც ხმების მომატება ან გამოკლება.

„ქართული ოცნება“ მარტო ხომ არ ატარებდა არჩევნებს?

ყველა უბანზე, ყველა ოლქში, ყველა საარჩევნო კომისიაში ოპოზიციის მიერ წარგზავნილი და სათანადო მანდატით აღჭურვილი უამრავი ადამიანი მუშაობდა, რომლებსაც აბსოლუტურად იგივე უფლებები და ვალდებულებები ჰქონდათ, რაც ჰქონდათ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს.

მათი დასტურის, მათი ხელმოწერის, მათი კონტროლის გარეშე ვერც ერთი დოკუმენტი, ვერც ერთი ოქმი ვერ გავიდოდა საარჩევნო უბნიდან.

**ასე რომ, როცა ოპოზიცია ამბობს, არჩევნები გააყალბესო, ამ განცხადების ქვეტექსტი ასეთია: არჩევნები გაყალბდა და გაყალბდა ჩვენი აქტიური მონაწილეობითო.**

**თვითალიარებით ჩვენებას ჰგავს ოპოზიციის ეს განცხადებები, თუმცა, ჩემდა გასაკვირად, არავინ ცდილობს, მათი განცხადებები სწორედ ამ კუთხით გაშიფროს და გააანალიზოს.**

მე ვმონაწილეობდი ამ არჩევნებში, როგორც დამკვირვებელი და ბევრი რამ საკუთარი თვალით ვნახე, ბევრი რამ კოლეგებმა მიამბეს.

ოპოზიციას, განსაკუთრებით კი „ნაციონალურ მოძროაბას“ ამ არჩევნებზე შესანიშნავად მომზადებული და მაღალ დონეზე დატრენინგებული კადრები ჰყავდა, რომლებიც ყველაფერზე მიდიოდნენ, რომ მთავარი ოფისიდან მიღებული დავალებები შეესრულებინა თ.

ისინი ხშირად მიმართავდნენ ასეთ ფანდს — რაღაც წვრილმან და უმნიშვნელო საკითხზე ტეხდნენ ხმაურს, რომ კომისიის წევრთა ყურადღება თავისკენ მიეპყროთ, ამ დროს რომელიმე მათი თანამზრახველი მშვიდად აკეთებდა საქმეს.

პირადად მე ზედმეტი ბიულეტენების წამატების რამდენიმე ფაქტი აღვკვეთე — დასტაში, რომელიც ათი ბიულეტენისგან უნდა ყოფილიყო შემდგარი, ზოგში 12 იყო, ზოგში — 13, ზოგში — 17 და ამას „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელი ქალბატონი აკეთებდა.

როცა შენიშვნა მივეცი, ბოდიში, შემეშალაო, მითხრა.

ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ, ათჯერ როგორ უნდა შეგეშალოს, თუ ამას წინასწარგანზრახულად არ აკეთებ?

ასე დაგროვდა ზედმეტი ბიულეტენების ის რაოდენობა, რომელზეც დღეს ოპოზიცია ხმაურს ტეხს.

არავინ არ ლაპარაკობს იმაზე, რომ „ნაცმოძრაობამ“ და ოპოზიციამ ამ არჩევნებში ძალიან დიდი ფული დახარჯა.

ამ ფულის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიხარჯა საარჩევნო კომისიის წევრებზე, დამკვირვებლებზე და სხვა პერსონალზე.

მათი ანაზღაურება თითქმის 2-ჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების.

სამწუხაროდ, ვერ დავამტკიცებ, მაგრამ მაქვს გონივრული ეჭვი, რომ ოპოზიციამ ვიღაც-ვიღაცები მოისყიდა და მათთან დანაშაულებრივ გარიგებაში შევიდა.

რაც უბნებში ხდებოდა, ყველაფერი გადაღებულია, დაფიქსირებულია, საუბრების ჩანაწერებიც კი არსებობს.

ცესკო-მ „ქართულმა ოცნებამ,“ სამართალდამცავმა ორგანოებმა გაშიფრონ, შეისწავლონ ეს ჩანაწერები და ყველაფერი ნათელი გახდება.

ოპოზიცია ხელოვნურად ბერავს და აზვიადებს არჩევნებზე მოხდარი დარღვევების არსებობას. სინამდვილეში კი ასეთი დარღვევები ყოველთვის ხდებოდა და ალბათ, ყოველთვის მოხდება.

დანამდვილებით შემიძლია განვაცხადო, რომ ამ დარღვევებს არავითარი გავლენის მოხდენა არ შეეძლო არჩევნების საბოლოო შედეგებზე.

ასე რომ, ცესკო-ს და „ქართულ ოცნებას“ მოვუწოდებ, იმოქმედონ და პროვოკატორები და ავანტურისტები დროულად ამხილონ.“

**რედაქციისგან: სამწუხაროდ, ზუსტად ახდა ის პროგნოზი, რაზეც „საერთო გაზეთი“ დიდი ხანია წერს — როგორც დამტკიცდა, „ნაცმოძრაობას“ არ აინტერესებდა და არც ახლა აინტერესებს არჩევნების მშვიდობიანად, დემოკრატიულად ჩატარება.**

**მას ერთადერთი მიზანი ჰქონდა — რევანში და ძალაუფლების ხელში ჩაგდება.**

**როცა არჩევნების შედეგად ამ მიზანს ვერ მიაღწია, „ნაცმოძრაობა“ ამბოხისა და სამოქალაქო დაპირისპირების გზას დაადგა.**

**რასაც დღეს „ნაცმოძრაობა“ და მისი მოკავშირე პარტიები აკეთებენ, ეს არის სახელმწიფოს მიტაცებისა და ძალაუფლების ძალადობრივი გზით ხელში აღების მცდელობა.**

**უკვე იკვეთება სახელმწიფო გადატრიალების სამზადისის კონტურები.**

**ისმის ღია მოწოდებები ხელისუფლების დამხობისკენ.**

**ყოველივე ეს დიდ საფრთხეს უქმნის ქართულ სახელმწიფოს, საფრთხეს უქმნის მშვიდობას, სტაბილურობას, ქვეყნის წინსვლისა და განვითარების პერსპექტივას.**

**მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებას — ოპოზიციის ქმედებებს მიეცით ზუსტი სამართლებრივი შეფასება, ზუსტი კვალიფიკაცია და იმოქმედეთ ისე, როგორც კანონი ასეთ შემთხვევებში გავალდებულებთ.**

**ნუ მისცემთ პროვოკატორებს და ავანტურისტებს ქართული სახელმწიფოს მიტაცების საშუალებას.**

**დაიცავით იმ ერთი მილიონი მოქალაქის ხმა, რომელმაც უარი უთხრა „ნაცმოძრაობის“ ფაშისტურ-კრიმინალური რეჟიმის რეანიმაციას.**

**ღმერთი ფარავდეს საქართველოს!**

**„საერთო გაზეთი“**

## ვანო ჩხიკვაძე



# ლექსები

**გაზეთში წარმოდგენილი ლექსები, ახალი დროის მურვან-ყრუს, სააკაშვილის, ზეობის დროს არის შექმნილი და გამოქვეყნებული, ასე, რომ ჯერ კიდევ 2012 წლამდე გავიარეთ მე და ჩემმა ოჯახმა არაერთი ,,ბეწვის ხიდი".**

**2011 წელს, კულტურის სამინისტროს პრემიების მომნიჭებელმა კომისიამ, ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად წარმადგინა.**

**ბედნიერი ვარ, რომ ეს მაღალი ჯილდო ,,მიშა-ყრუს" ცოდვიანი ხელიდან არ მივიღე —მოგვიანებით, აღნიშნული პრემია ცხონებულ გივი ბერიკაშვილსა და მე, პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა გადმოგვცა.**

**ნუ დაივიწყებ შენი მტრების ხმასო! — გვაფრთხილებს ფსალმუნიდან ასაფი.**

**რად მინდა ასაფის გაფრთხილება-**
**აბა თუ ბიჭი ხარ, მიდი და დაივიწყე!**

* * *

ვიღაცაზე ნაკლები ვარ,
ვიღაცაზე მეტი მე ვარ,
ცოტა—ცოტა მიხარია,
უფრო ხშირად მეტირება.
ყველა კუთხე დაიკავეს
ქაჯებმა და მაცილებმა.
აღარც ვწუხვარ,
აღარც ვდარდობ,
მეტი რა ვქნა...
მეცინება!..

### როკი

მითხრი, ვინ მოგისია
ამდენი გველის ძლოკვი.
კავკასიონის ციკლოპი –
ცეცხლისმფრქვეველი როკი.
მოდის ტყვია და შრაპნელი
ქართლის მინდვრების ლოკვით.
მარადიული ამკლები –
დუჟმორეული როკი.
ვაიმე, რა ცოტანი ვართ
შენი შვილობის ღირსი.
როკი – სიკვდილის გვირაბი,
წმინდა საკინძეს გიხსნის.
ვაიმე, მტერი – მოყვარე,
იცვამს სიცრუის აბჯარს,
ტყუის – გვირაბის ბოლოში
სინათლის წვეთიც არ ჩანს.
მოდის ტყვია და შრაპნელი
ქართლის მინდვრების ლოკვით.
მარადიული ამკლები –
როკი დაგჩხავის, როკი.
ღმერთო, შენ მაინც მოჰკითხე,
ცეცხლით ვინც ამომშანთა,
ვინც მოარღვია ქართლის ცა
ღვთისმშობლის კაბის კალთას.

* * *

მულოდნელად, როგორც ფანტომი
პოეტს ესტუმრა მეფე-ბატონი.
შეუქეს, შემდგომ სალამ-ქალამის,
ამან — მეფობა,
იმან — კალამი.
შეეფერებათ ვითარც ახლობლებს,
იმასლაათეს და ილაღობეს.
ჩვენს სასიკეთოდ, განგების ძალით,
გვერდიგვერდ ძოვდა მგელი და ცხვარი...
იქვე, უხილავ კარის მასხარას,
წამოსცდა, ბევრი არ დაახანა:
,,როცა ქვეყანას რყვნის ფანფარონი,
როცა ხორცი და სული შიმშილობს,
როცა მტყუანი მართალს აბოლებს,
შენ რა გახარებს, შე ვირიშვილო!.."
ხანდაზმულ მგოსანს უკვდავებისკენ
გაუადვილოს, ვინძლო, ნახტომი —
მულოდნელად, როგორც ფანტომი
პოეტს ესტუმრა მეფე-ბატონი.

### ფილმი აგვისტოს ომზე

ისევ აქოთდა ქალაქი
კვამლის და დენთის სუნად.
ხრჭიალებს დაჯახებული,
რკინა რკინასა ღუნავს.

ზეცა ჩამოდის გრიალით,
კადრები ცვლიან კადრებს.
სიკვდილის ბუტაფორია
შუა ქალაქში დადგეს.

ამერიკული სენდვიჩი,
ბავარიული ლუდი.
ქართულ ტალახში გორაობს
ვარსკვლავი ჰოლივუდის.

ჭახანით სკდება ფუგასი,
ტანკის სხეულში ბრუნავს.
მოახლოვდება, დაზაფრავს,
სმენას რუსული ,,ურა."

გრიმით ,,ჩეხავენ" ყვრიმალებს,
ქუჩაში ყრიან ჭურვებს.
დგას რეჟისორი რუპორით —
,,ოსკარს" თვალს უპაჭუნებს.

როგორც აგვისტოს რეფრენი,
ქალაქს გუგუნით დაღლის,
ამერიკული ვერტმფრენი,
ფერდზე ქართული დამღით.

ვის ახსოვს სამაგიერო
განრისხებული უფლის.
გადიღეს ბომბდამშენების
ცაში მორიგი დუბლი.

ფილმია —
ვითომ კვდებიან,
ვითომ იბრძვიან, ვითომ,
ნანაგრევში გადაჩეხილი
ვითომ შველასაც ითხოვს.

ზეცა ჩამოდის გრიალით,
კადრები ცვლიან კადრებს.
სიკვდილის ბუტაფორია
შუა ქალაქში დადგეს.

მე კი, არ ვიცი, აგვისტოს
ომიც და აგონიაც,
ჩვენს დასაქცევად დადგმული
სპექტაკლი რად მგონია.

ვიდრე ,,წითელი ტერორი"
არ დაექანა დაღმა,
თავისუფლება არ მქონდა,
ახლა... სამშობლოც არ მაქვს.

* * *

რად გიკვირს-მეთქი,
ძილშიც, ღვიძილშიც,
გულამოსკვნილი რომ მეკითხები,
რატომ ჰყიდიან ძმას და ძიძიშვილს,
შენს ფესვებს რატომ ღრღნიან ვირთხები.

რად გიკვირს-მეთქი,
როცა გაბოლებს,
სულგაყიდული ამდენი ჩარჩი.
ვეღარ გაიგე? —
ვისთვის სამშობლო,
ვისთვის პანტა ხარ
და... ღორებს დარჩი.

* * *

დარდმა შემჭამა, ჯავრმა გამომხრა —
"ერთიც მიმღერე,"
ჩუმად რატომ ხარ.
გული გაქვავდა, ყელი ამოხმა —
ამ უფსკრულიდან
როდის ამოხვალ.
მითხარ, როდემდე, მითხარ, რა მოხდა,
ჩუმად რატომ ხარ,
ჩუმად რატომ ხარ!

### ჯვართამაღლება

დღეს მწარე ფიქრები შემშლიან, ღმერთმანი,
გაგვწირეს მკვლელებმა და არაკაცებმა.
ეს ორი ტკივილი როგორ ჰგავს ერთმანეთს —
სოხუმის დაცემა!
ცხინვალის დაცემა!

წისქვილის დოლაბმა ჩვენს ზურგზეც იგორა,
დამძიმდა ცხოვრება წლებით და ჭაღარით.
ვინ იგრძნო ნეტავი,
ან ვინ გაიგონა,
სამშობლოს ხერხემლის ჭახანი!



# ამერიკის ყველაზე გამოჩენილი პრეზიდენტები

აშშ-ის სათავეში იყვნენ პრეზიდენტები, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქვეყნის განვითარებაში, იყვნენ საერთაშორისო მასშტაბის მოღვაწეები და დიდი ხნის შემდეგაც მთელ კაცობრიობას ახსოვს.

**ჯორჯ ვაშინგტონი**. ჯორჯ ვაშინგტონი — აშშ-ის პირველი პრეზიდენტია. ის სათავეში ედგა ამერიკის დამოუკიდებლობისთვის ინგლისელების წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ბრძოლას. ვაშინგტონი ძალიან პოპულარული იყო, მისი სჯეროდათ და ბრძოლაში დაუფიქრებლად მიყვებოდნენ.



ვაშინგტონი მათ შორის იყო, ვინც აშშ-ის კონსტიტუცია და დამოუკიდებლობის დეკლარაცია დაწერა. ის ხელმძღვანელობდა შავკანიანების უფლებებისთვის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გაერთიანებისთვის, ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებული დამოუკიდებელი შტატების შექმნისთვის ბრძოლას.

ვაშინგტონმა ააშენა თეთრი სახლი — ამერიკის პრეზიდენტების რეზიდენცია.

კონსტიტუციის მიხედვით, ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს ოჯახთან ერთად ამ რეზიდენციაში უნდა ეცხოვრა. მიეღო სტუმრები, სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები და გადაეწყვიტა სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი საკითხები. ჯორჯ ვაშინგტონს თეთრ სახლში არ უცხოვრია.

ვაშინგტონის მმართველობის დროს ჩაეყარა ფუნდამენტი კაპიტოლიუმის მშენებლობასაც, სადაც ამერიკის კონგრესი განთავსდა.

ამერიკელი ხალხი პატივს სცემს თავის პრეზიდენტს. აშშ-ის დედაქალაქს სახელი მის პატივსაცემად ჰქვია. გარდა ამისა, არსებობს ვაშინგტონის შტატი, ძეგლი, მისი სახელი ჰქვია ქუჩებს, მოედნებსა და ხომალდებს.

**თომას ჯეფერსონი**. აშშ-ის მესამე პრეზიდენტი თომას ჯეფერსონი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე და დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორია (1776). პრეზიდენტობის პერიოდში მან საფრანგეთისგან ლუიზიანის შტატი გამოისყიდა. აშშ-ის კონგრესის ცნობილ ბიბლიოთეკას მისი კოლექცია დაედო საფუძვლად. ჯეფერსონმა დააარსა ვირჯინიის უნივერსიტეტი და შექმნა მისი პირველი პროგრამა; იყო ვირჯინიის გუბერნატორი, პირველი სახელმწიფო მდივანი, მეორე ვიცე-პრეზიდენტი და აშშ-ის მესამე პრეზიდენტი; მრავალმხრივი მეცნიერ-აგრონომი, არქიტექტორი, არქეოლოგი, პალეონტოლოგი, გამომგონებელი, კოლექციონერი და მწერალი; ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის დოქტრინის ერთ-ერთი მთავარი შემქმნელი. ჯეფერსონმა იცოდა რამდენიმე უცხო ენა, შესანიშნავად უკრავდა ვიოლინოზე, იყო მრავალმხრივ განათლებული ადამიანი.



ჯეფერსონი არის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორი, რომლის პრეამბულაც ადამიანის უფლებების შესახებ ყველაზე ცნობილი ტექსტია.

ჯეფერსონი 1862 წელს 82 წლის ასაკში გარდაიცვალა თავის მამულ მონტიჩელოში.

**აბრაამ ლინკოლნი**. აშშ-ის კიდევ ერთი განსაკუთრებით საინტერესო პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნია. მისი პრეზიდენტობა სამოქალაქო ომის (1861–1865) წლებს დაემთხვა. ის დიდი ჰუმანისტი იყო და მთელი ცხოვრება პიროვნების თავისუფლებისთვის, ხალხთა ჩაგვრისა და დაპყრობის, მონობისა და მონებით ვაჭრობის წინააღმდეგ იბრძოდა. მისმა ბრძოლამ ამერიკა კაცობრიობისთვის თავისუფლების სიმბოლოდ აქცია. თავისუფლებისა და ბედნიერების ძიებაში ხალხი ამერიკისკენ დაიძრა. კაპიტოლიუმის ბორცვებზე განლაგებულია ლინკოლნის მემორიალი, რომელიც 1914–22 წლებში აიგო. კომპოზიციური შენობა კავშირის სიმბოლოა. პერიმეტრზე 36 კოლონაა — სწორედ ამდენი შტატი შედიოდა გაერთიანებაში ლინკოლნის სიკვდილის მომენტისთვის. გარეთა კედელზე ამოკვეთილია 48 შტატის დასახელება (სწორედ ამდენი შტატი იყო 1922 წლისთვის — მემორიალის მშენებლობის დასრულების მომენტისთვის). ბოლოს მიერთებული ორი



შტატის დასახელება — ალასკა და ჰავაი — მემორიალის მისადგომებთანაა ამოკვეთილი.

ლინკოლნის მემკვიდრეობის მიხედვით — ამერიკა კაცობრიობისთვის თავისუფალი ქვეყანა უნდა იყოს. ლინკოლნის სახელი ჰქვია ქალაქებს, ხომალდებს, ქუჩებს და ა. შ. მისი ციტატები გამოკვეთილია შენობების ფრონტონებზე, ქანდაკებებზე, ქვის ფილებზე ვაშინგტონსა და აშშ-ის სხვა ქალაქებში.

**ფრანკლინ დელანო რუზველტი**. ერთადერთ პრეზიდენტად, რომელიც ოთხჯერ იყო



არჩეული ამ პოსტზე, დღემდე ფრანკლინ დელანო რუზველტი რჩება. ახალგაზრდა ამბიციურმა ადვოკატმა ძალიან მალე მოიპოვა პოლიტიკური პოპულარობა; 1908 წელს ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორად აირჩიეს, განახორციელა რამდენიმე რეფორმა, ებრძოდა ოლიგარქებს და რამდენიმე ჩინოვნიკი გაათავისუფლა. დაიწყო დიდი დეპრესია, გაიზარდა უმუშევრობა, გაჩერდა ფაბრიკები და ქარხნები, კაპიტალისტურ სამყაროში ყველაზე დიდი კრიზისი დაიწყო. პრეზიდენტ ჰერბერტ გუვერის ავტორიტეტი მკვეთრად დაეცა. აშშ-ის ადმინისტრაციამ ვერ შეძლო შექმნილი მდგომარეობიდან რეალური გამოსავლის მოძებნა. 1932 წელს, რუზველტმა, რომელიც კანდიდატად დემოკრატიულმა პარტიამ წამოაყენა, ადვილად მოიგო საპრეზიდენტო არჩევნები. მმართველობაში მისი მოსვლიდან ერთ კვირაში ხალხმა უკვე იგრძნო ცვლილებები, ერთი თვის შემდეგ რეფორმები რეალური გახდა, სამი თვის შემდეგ კი ქვეყანა შეიცვალა. რუზველტის რეფორმების წყალობით დიდი დეპრესია დასრულდა.

რუზველტი ერთადერთია, ვინც აშშ-ის ისტორიის მანძილზე პრეზიდენტის პოსტზე ოთხჯერ აირჩიეს. მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ის კონგრესმა გადაწყვეტილება მიიღო, ომის დასრულებამდე ახალი პრეზიდენტი არ აერჩია. რუზველტი იყო ანტიჰიტლერული კოალიციის ინიციატორი. მეოთხე ვადის დასაწყისში, 1945 წლის 12 აპრილს, ფრანკლინ დელანო რუზველტი ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა. ის ამერიკელების მრავალი თაობის ხსოვნაში დარჩა, როგორც ყველაზე დიდი პრეზიდენტი.

ვაშინგტონში, კაპიტოლიუმის ბორცვებზე ფრანკლინ რუზველტის განუმეორებელი მემორიალია. ის ოთხი ნაწილისგან შედგება, რომლებიც მისი მმართველობის ყველა წელს ასახავს. დამთვალიერებლებს ხვდებათ ბრინჯაოსგან



შექმნილი რუზველტის ქანდაკება ინვალიდის ეტლში, თუმცა ის ყოველთვის ცდილობდა, უმწეო მდგომარეობაში არავის ენახა. მემორიალში პირველად აშშ-ის ისტორიაში არის პირველი ლედის ელეონორა რუზველტის გამოსახულებაც.

**ჯონ ფიტცჯერალდ კენედი**. კიდევ ერთი პრეზიდენტი, რომელმაც პოსტზე ცოტა ხანი დაჰყო, მაგრამ მრავალი ათწლეულების შემდეგაც ყველას ახსოვს, ჯონ ფიტცჯერალდ კენედია. ის იყო პირველი კათოლიკე პრეზიდენტი და პირველი პრეზიდენტი, რომელიც XX ს-ში დაიბადა.

კენედის ორწლიანი პრეზიდენტობის დროს, რომელიც მისმა იდუმალებით მოცულმა მკვლელობამ შეწყვიტა, მოხდა კარიბის კრიზისი, გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები თეთრკანიანებისა და შავკანიანების თანასწორუფლებიანებისკენ და დაიწყო კოსმოსური პროგრამები. კენედიმ 1936 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტი, შემდეგ კი — ოქსფორდის უნივერსიტეტი დაამთავრა. მისი კერპი პოლიტიკაში უინსტონ ჩერჩილი იყო. ჯონ კენედი ომის მონაწილე იყო, მძიმედ იყო დაჭრილი და ხერხემლის ტრავმით იტანჯებოდა.

კენედების ოჯახი ამერიკაში უმდიდრესია. ფინანსური დახმარების, ბრწყინვალე განათლებისა და აღზრდის წყალობით, ამ ოჯახის ბევრი წევრი პოლიტიკოსი გახდა და მაღალი სახელმწიფო პოსტები ეკავათ.

ჯონ კენედი დგამდა ნაბიჯებს, რათა ამერიკას რეალური დახმარება გაეწია განვითარებადი ქვეყნებისთვის — შექმნა მშვიდობის კორპუსი, ორგანიზაცია „კავშირი პროგრესისათვის“ და ა. შ. გამოდიოდა აფროამერიკელების თანასწორუფლებიანობის მომხრედ და მხარს უჭერდა მარტინ ლუთერ კინგს.

ჯონ კენედი 1963 წლის 22 ნოემბერს დალასში (ტეხასის შტატი) მოკლეს. კენედის მკვლელობის ოფიციალური მონაცემები



ურთიერთგამომრიცხავია და მათში ბევრი „თეთრი ლაქაა“. ჯონ კენედის ბევრი წიგნი და სტატია მიეძღვნა. ის XX საუკუნის მეორე ნახევრის ყველაზე პოპულარული პრეზიდენტია.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983
9 772233 398001